გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№24 (919) 14 - 16 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ნარკოდანაშაულთან ბრძოლამ შედეგი უკვე გამოიღო“

გვ. 5

ექსპერტი **მაია ნიკოლეიშვილი** შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას აფასებს

დაიჭერენ თუ არა „გუდვილის“ მფლობელ გოგი შევარდნაძეს

ჰიპერმარკეტების ქსელის ფინანსური კრიზისის რეალური მიზეზები

გვ. 6

ქარხანა „ალგორითმი“ პოლიტიკური მოტივით დაიხურა?

გვ. 2

მოსწავლეების ბუკები ახალი დიზაინის ლეპტოპებით იცვლება

სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას ამხელს

ნაციონალური მოძრაობიდან არავინ გაასამართლოთო, დასავლეთს „ქართული ოცნებისთვის“ არასოდეს უთქვამს

გვ. 3

გარდაბნის გამგებლად სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი დანიშნეს

„ბეზრუკოვმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და კარგად იყოს!“

გვ. 9

115

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გზა წარმატებებისკენ!

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

176-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას აფინანსებს

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ინფორმაცია აქამდეც არაერთხელ გავრცელდა, მაგრამ ყოველთვის ჭორი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ კულუარებში მუდმივად საუბრობდნენ, გურამ (მირიანე) ოდიშარიას დიდი ხანია წყალი აქვს შეყენებული და მალე მოუწევს სახლში წასვლაო, მიზეზად კი, იმას ასახელებდნენ, კულტურის სამინისტროში მოსვლის დღიდან, პოეტ მინისტრს, რეალურად, არაფერი გაუკეთებიაო. პრინციპში, გურამ ოდიშარიამ კულტურის სფეროში არსებული ვერც ერთი პრობლემა ვერ მოაგვარა. მისი, როგორც მინისტრის მოღვაწეობა, მხოლოდ უკრაინაში სისხლიანი აქციების ფონზე, თბილისში „რუსული რომანსის საღამოს“ ჩატარებით და უწყებაში 160 კგ ყავის შეძენით შემოიფარგლება. ვინმემ არაობიექტურობაში ბრალი რომ არ დაგვდოს, სხვა საქმეებსაც გავიხსენებთ. მაგალითად იმას, რომ სწორედ მისი მინისტრობის დროს დაიხურა რადიო „მუზა“, განახევრდა ჯაზფესტივალის ბიუჯეტი, დღემდე ვერა და ვერ გადაწყდა საყდრისიყაჩაღიანის საბადოს ბედი... ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ გურამ ოდიშარია დაიღალა და წასვლა გადაწყვიტა. დიახ, დაიღალა — „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, სწორედ ეს სიტყვა უწერია მინისტრს განცხადებაში, რომელიც კანცელარიაში უკვე რეგისტრირებულია და რომლითაც შვებულების აღებას ითხოვს. როგორც ჩანს, ოდიშარიამ წასვლის უმტკივნეულო ფორმა არჩია „გადავიღალე. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გთხოვთ, შვებულებაში გამიშვათ“, — დაწერა ოდიშარიამ და მოვალეობის შესრულების ესტაფეტა მოადგილეს, ალექსანდრე მარგიშვილს გადაულოცა.

მას შემდეგ, რაც ოდიშარიას გადადგომის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ამ უკანასკნელმა საჯარო კომენტარი გააკეთა: **„კიდევ ერთხელ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს თანამდებობა დავტოვე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მე გავედი შვებულებაში. შევხვდი პრემიერს, ვისაუბრეთ და ვუთხარი, ცოტა გადავიღალე, შარშან შვებულებაში არ ვყოფილვარ და ვთხოვე, 10-20 დღით თავს მივხედავ, დავისვენებ კიდეც-თქო. მოვილაპარაკეთ და გავედი კიდეც შვებულებაში. ეტყობა, ჩემი ეს გადაწყვეტილება არასწორად იქნა აღქმული. დავისვენებ, 20 კილოს დავიკლებ და დავბრუნდები“.**

ოდიშარია ამბობს, დავბრუნდებიო, თუმცა ასეთი დაპირების მიუხედავად, „შინმოუსვლელი ჩინოვნიკი“, ქართულ პოლიტიკას არაერთი ახსოვს. ამ ფონზე, კულუარებში უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, ვინ იქნება კულტურის მორიგი მინისტრი. საუბარია რატი ამაღლობელსა და დავით მაღრაძეზე, თუმცა საბოლოო სიტყვა, ღარიბაშვილს ეთქმის. პრემიერმა კი, „ვერსიის“ წყაროს მტკიცებით, ოდიშარიას შემცვლელის შესახებ ფიქრი უკვე დაიწყო, რადგან იცის, საჯარო „დაპირების“ მიუხედავად, ოდიშარია აღარ დაბრუნდება.

„ვერსიანიუსი“

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲕᲘᲖᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ

ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია პარტია „ჩემი სახლი ისრაელზე“ დაყრდნობით ავრცელებს. თითოეული ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოსა და ისრაელის ტერიტორიაზე ყოფნა 90 დღის განმავლობაში უვიზოდ შეუძლიათ.

ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმის საკითხი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა (მაშინდელი შს მინისტრი) და ისრაელის შს მინისტრის მოადგილემ ფაინა კირშენბაუმმა განიხილეს.

„პირველი“

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲐᲚᲒᲝᲠᲘᲗᲛᲘ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ?

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲙᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲚᲔᲞᲢᲝᲞᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

ამიერკავკასიაში კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელმა ერთადერთმა ქარხანა „ალგორითმმა“ მუშაობა შეწყვიტა. მიზეზად, პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობა სახელდება, „ვერსიის“ ინფორმაციით, განათლების სამინისტრო აპირებს, სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ბუკები, რომლებსაც ქარხანა „ალგორითმში“ აწყობდნენ, უფრო დახვეწილი ლეპტოპებით შეცვალოს. ამჟამად შპს „ალგორითმს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ამოწმებს, თუმცა „ვერსიას“ სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ შემოწმება ქარხნის გაჩერებასთან კავშირში არ არის, მეტიც, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური „ალგორითმის“ მუშაობას ხელს არ უშლისო.

ორიოდე წლის წინ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომპიუტერული ტექნიკა შპს „ალგორითმისგან“ 30%-იანი ფასნამატით შეიძინა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნის საფუძველზე, შსს-ს ცენტრალურ აპარატში, 2011-2012 წლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სხვადასხვა სახის დარღვევა აღმოჩნდა. კერძოდ, 2011 წლის ნოემბერში, შპს „ალგორითმისგან“, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, შსს-მ 5 000 ცალი პლანშეტური კომპიუტერი 2 775 000 ლარად შეისყიდა, 2012 წლის იანვარში გამოცხადებულ ტენდერში კი შპს „ალგორითმმა“ გაიმარჯვა, რომელიც ამ ტენდერში ერთადერთი პრეტენდენტი იყო. შედეგად, შსს-მ 2 000 ცალი პლანშეტური კომპიუტერი 1 100 000 ლარად შეიძინა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნით, შპს „ალგორითმმა“, შსს-ს საკუთარი პროდუქცია 30%-იანი ფასნამატით მიჰყიდა, რის გამოც კომპანიამ 749 000-ლარიანი მოგება მიიღო. შპს „ალგორითმის“ ხელმძღვანელები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნას არ დაეთანხმნენ და აცხადებდნენ, რომ 30%-იანი ფასნამატით კი არა, შსს-ს იმ პერიოდში, ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით, 2%-ით იაფად მიჰყიდეს კომპიუტერები და საბოლოოდ, „ალგორითმს“ მხოლოდ 10%-იანი მოგება დარჩა.

შპს „ალგორითმის“ პრეზიდენტი, მომღერალ ნინო ჩხეიძის მეუღლე, გიორგი კორახაშვილია, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისა და ექსპრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის უახლოესი მეგობარი, შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი კი გიორგი კორახაშვილის მამა, გივი კორახაშვილია. 2010 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, შპს „ალგორითმმა“, ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე, 50 000 ლარი გადარიცხა. წინა ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ პროექტში — „კომპიუტერი ყველასთვის“, მხოლოდ ორი კომპანია მონაწილეობდა, მათ შორის ერთ-ერთი შპს „ალგორითმი“ იყო. 2011 წელს, კორახაშვილის კომპანია „ალგორითმის“ მიერ აშენებულ ქარხანაში, სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი 60 000 ბუკი დამზადდა. ბუკების დამზადების პროცესს, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი პირადად ესწრებოდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ბუკებს ექსკლუზიურად მხოლოდ „ალგორითმისგან“ ყიდულობდა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, შპს „ალგორითმის“ ქარხანას სრული დატვირთვით აღარ უმუშავია. კორახაშვილების ქარხანაში მხოლოდ ის შეკვეთები დაასრულეს, რაც არჩევნებამდე მიიღეს, რამდენიმე თვეში კი ქარხანამ მუშაობა შეაჩერა; მეტიც, არც ისე დიდი ხნის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასწავლო ბუკების შეცვლა გადაწყვიტა. „ვერსიას“ სამინისტროში განუცხადეს, რომ ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ახლანდელი ბუკები, უფრო დახვეწილი დიზაინისა და გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის მქონე ლეპტოპებით შეიცვლება. კითხვაზე, დამზადდება თუ არა ახალი ლეპტოპები „ალგორითმის“ ქარხანაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ამგვარად გვიპასუხეს — ჯერ არ ვიცით, სად ან რომელ ქარხანაში ააწყობენ ახალ ლეპტოპებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სამინისტრო ტენდერს გამოაცხადებს.

ოფიციალური მიზეზი, რის გამოც შპს „ალგორითმის“ ქარხანა გაჩერდა, ამ ეტაპზე უცნობია. „ვერსია“, მცდელობის მიუხედავად, გიორგი კორახაშვილსა და ნინო ჩხეიძეს ვერ დაუკავშირდა, ჩვენთან საუბარი არც გიორგის ძმამ, დათო კორახაშვილმა მოინდომა, თუმცა, არ არის გამორიცხული, ქარხანაში შექმნილ პრობლემებს პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს. პოლიტიკურ მოტივს „ვერსიის“ წყაროც არ გამორიცხავს, რადგან გიორგი კორახაშვილი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი დიდი ხნის მეგობრები არიან. მერაბიშვილის დაკავების შემდეგ, გიორგი კორახაშვილმა ოფიციალური წერილით მიმართა ბიძინა ივანიშვილს და მისი გათავისუფლება მოითხოვა; მოგვიანებით, ირაკლი ღარიბაშვილსაც მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ მას, როგორც ბიზნესმენს, ვანო მერაბიშვილთან მეგობრობის გამო ავიწროებენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება ბუკების შეცვლასთან დაკავშირებით, შესაძლოა, პოლიტიკურ კონტექსტშიც განვიხილოთ. იმის გამო, რომ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ბუკები აღარ მზადდება და ოფიციალურ გადაწყვეტილებამდე, არაფერი შეიცვლება, ქარხანა, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნა, რა თქმა უნდა, მუშაობას შეწყვეტდა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, „ალგორითმში“ შეკვეთები ჯერ შემცირდა და მერე საერთოდ შეწყდა. სხვა საკითხია, რამდენად ეთიკურია ბიზნესის გაჩერება იმ მოტივით, რომ მისი დამფუძნებელი გასხვავებული პოლიტიკური გემოვნებისაა და მოქმედ ხელისუფლებას მხარს არ უჭერს. გასული 9 წლის განმავლობაში ქართულმა ბიზნესმა არცთუ სასიამოვნო ეტაპი უკვე გაიარა, ბიზნესნების „ჩემიანებად“ და „სხვისიანებად“ დაყოფას, საკუთრების ხელყოფასა და ციხეებში გაუსაძლის მდგომარეობას კი, წინა ხელისუფლების პოლიტიკური კრახი მოჰყვა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში „ვერსიას“ დაუდასტურეს, რომ ამჟამად, შპს „ალგორითმის“ შემოწმება მიმდინარეობს, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავეს. შემოწმებასთან დაკავშირებით, ოფიციალურ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური უახლოეს დღეებში გაავრცელებს, თუმცა „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ეს შემოწმება „ალგორითმის“ ქარხნის გაჩერებას არ უკავშირდება.

სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას ამხელს

ნაციონალური მოძრაობიდან არავინ გაასამართლოთო, დასავლეთს „ქართული ოცნებისთვის“ არასოდეს უთქვამს

ეროსუდან შელია
557-100-768

რისთვის დასჭირდა მმართველ გუნდს საარჩევნო კოდექსში საზღვარგარეთ მცხოვრები პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, რატომ უწოდებს დავით ნარმანიას „დანიშნულ კანდიდატს“ და რა კითხვები აქვს ირაკლი ოქრუაშვილთან, ემზადება თუ არა მომავალ არჩევნებში ნინო ბურჯანაძესთან დასაპირისპირებლად? „საქართველოს გზის“ ყოფილი ლიდერი სალომე ზურაბიშვილი „ვერსიასთან“, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, უკრაინაში არსებულ ვითარებასაც აფასებს.

— თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას თავიდანვე არ ვგეგმავდი. ვფიქრობ, აქ ჩემი ადგილი არ არის, თუმცა სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს შეზღუდვებს უწესებს. თანაც ეს ხდება ქვეყანაში, სადაც წარჩინებული სტუდენტები და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს ჰაერივით სჭირდება, უცხოეთში ცხოვრობენ.

— ირაკლი ოქრუაშვილს აქვს ამბიცია, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილება არჩევნებში სწორედ მის დასაბლოკად შევიდა.

— ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ, საარჩევნო კოდექსში 2-წლიანი აუცილებლობის გარდა, სხვა შეზღუდვებიც არსებობს; თანაც საზოგადოების წინაშე ის კითხვისნიშნებიც უნდა მოხსნას, რაც წლების განმავლობაში მისი მისამართით დაგროვდა.

— თქვენ რა კითხვები გაქვთ თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ან პოლიტიკაში მის მეოთხედ დაბრუნებას რას უკავშირებთ?

— არაერთი კითხვა მაქვს... მაგალითად, რა ურთიერთობა ჰქონდა წინა ხელისუფლებასთან საქართველოდან წასვლის შემდეგ და როგორ გაიხარჯა კოლოსალური თანხა თავდაცვის სამინისტროში?

— ანუ ოქრუაშვილი ნაციონალური მოძრაობის თამაშს თამაშობს?

— ასე პირდაპირ ვერავის ვერაფერს დავაბრალებ. ფაქტია, ოქრუაშვილის მიმართ კითხვები არსებობს, ამიტომ, სანამ თავდაცვის ექსმინისტრი პოლიტიკაში დაბრუნდება, საზოგადოების შეკითხვებს უნდა უპასუხოს.

— ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ მესამე ლიგის თამაშში ერთვება. თქვენც აღნიშნეთ, რომ ამ ბრძოლაში თქვენი ადგილი არ არის. არადა ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა, რომ მასთან თბილისის მერის თანამდებობაზე საუბრობდით. ამ არჩევნებზე უარს ნინო ბურჯანაძეც ამბობს. მომავალ არჩევნებში მასთან დასაპირისპირებლად ხომ არ იკრებთ ძალებს?

— არ მიმაჩნია, რომ ნინო ბურჯანაძე ჩემი დონის პოლიტიკოსია... ადგილობრივი არჩევნები, როგორც ქვეყნის, ისე დემოკრატიის განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. უბრალოდ, ვფიქრობ, ამ მხრივ ვადაგასული ვარ — 62 წელი შემისრულდა და პოლიტიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუ ამის აუცილებლობა დადგება. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ. ჩემი ყოფილი პარტიაც, ამ მხრივ, საკმაოდ აქტიურად მუშაობს და იმედი მაქვს, თავსაც გამოიჩენს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილთან საუბარს, ჩემთვის მაშინაც ნათელი იყო, რომ მერის თანამდებობაზე ჩემი ადგილი არ იყო: ჯერ ერთი, შესაბამისი გუნდი არ მყავდა, თანაც ამ უწყებაში უამრავი ფინანსური მახეა, რაც ჩემთვის სირთულეს წარმოადგენს. როცა საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვა გადავწყვიტე, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარებოდა, რადგან ყველა მოთხოვნას სრულად ვაკმაყოფილებდი. პოსტსაბჭოთა, პლუს პოსტ, თუ ჯერ კიდევ კორუფციულ ქვეყანაში დედაქალაქის მართვას ფინანსურ საკითხებში გარკვეული და გამოცდილი მმართველი სჭირდება.

— დავით ნარმანია ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს?

— დავით ნარმანია თბილისის მერად დანიშნული კანდიდატია! ნათელია, არჩევნებში ღია კონკურენცია არ იქნება, რადგან საქართველოს ტიპის სახელმწიფოებში უპირატესობა ყოველთვის სახელისუფლო კანდიდატებს აქვთ. თანაც დავით ნარმანია ჯერ კიდევ თანამდებობაზეა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა არაოფიციალურად ეძლევა. აქედან გამომდინარე, თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნების მთავარი ამოცანა შემდეგია — სად გავა ნაციონალური მოძრაობა და რა პოზიციებით.

— საპრეზიდენტო არჩევნებზეც მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ. ოპოზიცია აცხადებს, რომ ადგილები უკვე შეთანხმებულია, თქვენც იგივეს ელით?

— თუ მართლაც ასე მოხდა, ეს სერიოზულ პრობლემებს შექმნის. ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს მრავალპარტიულ მმართველობაზე, რადგან, თუ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ადგილები გაიყო, მმართველ გუნდს ეს საფრთხეს შეუქმნის. ზოგადად, საზოგადოებაში ნეგატივი ყოველთვის ხელისუფლების მიმართ გროვდება, შესაბამისად, ამ პირობებში ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი გაიზრდება, ხელისუფლებაში მათი დაბრუნება კი კატასტროფულ შედეგს მოგვცემს. სანამ ნაციონალური მოძრაობა, კიდევ ერთხელ, მეორე ადგილზე გავა, ამომრჩეველი კარგად უნდა დაფიქრდეს და სხვა პარტიებს შანსი მისცეს, წინაალმდეგ შემთხვევაში ყვირილი — „ვაიმე, ეს რა დაგვემართა“, დაგვიანებული იქნება.

— და სადაა ამ დროს დანარჩენი ოპოზიცია, რატომ „გაიკრიფა“ ან რომელი მათგანი სთავაზობს საზოგადოებას ალტერნატივას?

— ამ არჩევნებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ხელისუფლებამ, შეზღუდვების ნაცვლად, მრავალპარტიულ მმართველობაზე უნდა იზრუნოს. რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას უნდა მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ეს პოლიტიკურ სპექტრსაც გააჯანსაღებს.

— მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც შეაფასეთ — გიგი უგულავა საზოგადოებას უმტკიცებს, ხელისუფლების პოლიტიკური მსხვერპლი ვარო...

— სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ გავარკვიეთ, ამ ქვეყანაში ვინაა დამნაშავე და ვინ პატიოსანი. სამწუხაროდ, ადამიანური მეხსიერება გარკვეულ ინფორმაციებს მალე ივიწყებს, შემდეგ კი ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ზოგიერთ პიროვნებაზე არასწორი შეხედულება გქონდა.

— თქვენც ხომ არ გაგიჩნდათ მსგავსი განცდა?

— დიახ და, სავარაუდოდ, მოსახლეობაშიც იგივე განწყობაა. ქვეყანა ვერ აშენდება, თუ სიმართლე და სიცრუე არ გაირკვა. სამწუხაროდ, საქართველოში გაურკვევლობის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა. შევარდნაძის მმართველობისას მაღალჩინოსნები ნაციონალებზე მეტ დანაშაულს სჩადიოდნენ, თუმცა ეს ადამიანები დღეს პოლიტიკაში დაბრუნდნენ და თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ, არადა ქვეყნის დანგრევა სწორედ მათ დაიწყეს. ასე წინ ვერ წავალთ... ყველა ჩათვლის, რომ დანაშაული შერჩება და პოლიტიკაში მოსვლით ოჯახს ააშენებს.

— ეს პროკურატურის სისუსტეა თუ პოლიტიკური ნება არ არსებობს, რადგან ახალი ხელისუფლება წინამორბედთან გარიგებაში შედის?

— არ ვიცი, ერთ რამეს კი დანამდვილებით გეტყვით — როცა ხელისუფლება ამ პროცესის შეფერხებას ევროპასა და ამერიკას აბრალებს, ტყუის! ამ მიმართულებით დასავლეთს მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვს: როცა საქმე პოლიტიკურ პირებსა და ლიდერებს ეხება, სასამართლოზე უტყუარი მტკიცებულებები უნდა დაფიქსირდეს. ნაციონალური მოძრაობიდან არავინ გაასამართლოთო, დასავლეთს „ქართული ოცნებისთვის“ არასოდეს უთქვამს.

დასასრული მე-4 გვერდზე

პრემიერი სტატუსშეჩერებულ დოქტორანტებს პრობლემის მოგვარებას დაპირდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა. რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მას სიმბოლური საჩუქარი — მედალი, უნივერსიტეტის ემბლემა უსახსოვრა. ღარიბაშვილმა, სტუდენტებთან შეხვედრისას არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა და სტუდენტების კითხვებსაც უპასუხა. ახალგაზრდები „ჰუდონჰესის“ თემით დაინტერესდნენ. განაცხადეს, რომ ჰესის აშენებითა და ხაიშიდან ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლებით, შესაძლოა, სვანური კულტურა განადგურდეს. **„ვერ დაგეთანხმებით. საზოგადოება არ უნდა შევიყვანოთ შეცდომაში — სვანურ კულტურას საფრთხე არ ემუქრება. საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა და ამ მრავალფეროვნების ერთ-ერთი დამცველი მე ვარ. მოქალაქეებს სწორად უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ხუდონის აშენება ქვეყნის ენერგეტიკისთვის“.**

პრემიერმა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსაც ვერ აუქცია გვერდი და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინის ევროპულ არჩევანს მხარს უჭერს: **„სამწუხაროა ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება. უკრაინა არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, უკრაინელები ჩვენი მეგობარი ხალხია. მხარს ვუჭერთ მათ არჩევანს, ააშენონ ნორმალური, დემოკრატიული, ცივილიზებული ქვეყანა და ვგმობთ სახელმწიფო სუვერენიტეტის ნებისმიერ ხელყოფას. ეს არის ჩვენი მტკიცე პოზიცია და არ ვაპირებ, ვინმეს გავეჯიბრო რადიკალური და მყვირალა განცხადებების გაკეთებაში“.**

რაც შეეხება, უშუალოდ, განათლების სფეროს, ღარიბაშვილმა სტუდენტებს რამდენიმე სიახლე აუწყა. მაგალითად ის, რომ პრემიერი „საერთაშორისო განათლების ცენტრს“ აფუძნებს და სახელმწიფო საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველებს დააფინანსებს: **„ცენტრში მოხდება ყველა ფინანსური რესურსის აკუმულირება, უშუალოდ პრემიერის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება და განახორციელებს იმ პროექტებს, რომლებსაც აქამდე განათლების სამინისტრო ახორციელებდა. სახელმწიფო დააფინანსებს საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველებს, სტუდენტებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლისთვის. პირველ რიგში, დაფინანსდება ის მიმართულებები, რომლის დეფიციტიც გვაქვს. პროექტში ჩავდებთ პირობას, რომ საზღვარგარეთ სწავლის შემდეგ სპეციალისტები დაბრუნებიან საქართველოში, ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოში დაბრუნებული სპეციალისტების დასაქმებას. ეს იქნება ჩვენი ვალდებულება. უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენ მიერ დაფინანსებული სტუდენტები სახელმწიფო სამსახურში ჩადგნენ“.**

სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ წარჩინებული სტუდენტები სახელმწიფო სტრუქტურებში 6-თვიან სტაჟირებას გაივლიან. სტაჟიორებს აკადემიური მოსწრებისა და რიგითობის მიხედვით შეარჩევენ, სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ კი სათანადო სერტიფიკატს მიიღებენ. ირაკლი ღარიბაშვილი იმედოვნებს, რომ მსგავსი ინიციატივები სტუდენტებისთვის სწავლის, ცოდნისა და გამოცდილების მიღების დამატებითი სტიმული იქნება.

პარალელურად, აშენდება საერთო საცხოვრებელი რეგიონებიდან ჩამოსული, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის. ღარიბაშვილის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიიღო. საერთო საცხოვრებელი აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინვენტარით.

პრემიერმა სტატუსშეჩერებული დოქტორანტების პრობლემაზეც ისაუბრა: **„გასარკვევია, სტატუსი მხოლოდ თანხის გადაუხდელობაა თუ სტუდენტის სურვილი. დავავალებ განათლების მინისტრს, ვითარება სასწრაფოდ გამოიკვლიოს. თუ ვინმეს მხოლოდ გადაუხდელობის გამო აქვს სტატუსი შეჩერებული, მოვაგვარებ“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ახალგაზრდების აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფონზე, პრემიერმა სტუდენტებს კომუნიკაციის ახალი ფორმა შესთავაზა — მის ოფიციალურ გვერდზე სპეციალური აპლიკაცია „ახალი თაობის იდეა პრემიერს“ შეიქმნა, სადაც ახალგაზრდებს საკუთარი აზრისა თუ იდეების დაფიქსირების საშუალება ექნებათ.

„ვერსიანიუსი“

გარდაბნის გამგებლად სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი დანიშნეს

გიორგი იაშვილი

„ვერსია“ უკვე წერდა გარდაბნის რაიონში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი გამართლდა და ვითარება უფრო დაიძაბა — გამგეობის შენობასთან, ერთი შეხედვით, მცირე ინციდენტი მოხდა — ადამიანები ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამ „მცირე“ ინციდენტს რაიონის მასშტაბით მას შემდეგ მოყვა აჟიოტაჟი, რაც გაირკვა, რომ ერთმანეთზე საცემრად გამგებლის უკვე ექსმოადგილე, „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ამბაკო ავალიანი და „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა ლურსმანაშვილი დაუპირისპირდნენ. ვითარება სამართალდამცავებმა დაარეგულირეს, თუმცა მეორე დღეს, გარდაბნის საავადმყოფოს ეზოში ავალიანმა და მისმა მეგობარმა ლურსმანაშვილი სასიკვდილოდ გაიმეტეს. რა მოხდა რეალურად და რა გახდა დაპირისპირების მიზეზი? კითხვებზე ჯაბა ლურსმანაშვილი პასუხობს, ამბაკო ავალიანი კი, მრავალჯერადი ცდის მიუხედავად, კონტაქტზე არ გამოდის და ჟურნალისტებს, რბილად რომ ვთქვათ, თავს არიდებს.

ავალიანს „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ცემა დაუფასდა

— ბატონო ჯაბა, რატომ დაუპირისპირდით ერთმანეთს თქვენ და ავალიანი?

— ეს არ იყო პირველი შემთხვევა. იგი ჩემ პროვოცირებას კარგა ხანია ცდილობს, შეხვედრებისას მაგინებდა ან მხარს გამკრავდა ხოლმე. 10 მარტსაც ასე მოხდა — მხარი გამკრა და შევყევით. იმ კინკლაობაში თავში ხელი მომხვდა და ტრავმა მივიღე. იმავე საღამოს, ავალიანი, მეგობრებთან ერთად გარდაბანი-რუსთავის გზაზე მანქანით დამედევნა, მაგრამ გაქცევა მოვახერხე.

— პოლიცია სად იყო ამ დროს, არ ასრულებს გარდაბანში თავის მოვალეობას?

— როგორ არა, დამკითხეს, ვუთხარი, იქნებ გააფრთხილოთ, რომ შემეშვას-თქო, მაგრამ საჩივარი არ დამიწერია. ინციდენტიდან მეორე დღეს რენტგენის გადასაღებად საავადმყოფოში მივედი. ჩემი მეუღლე შევიდა გასარკვევად, იყო თუ არა ექიმი ადგილზე, ამ დროს, ავალიანი თავის მეგობარ სოსო წელაურთან ერთად მოვიდა, ორივე ყოფილი ძიუდოისტი, ნაკრების ყოფილი წევრია. შემაგინეს და მუშტი-კრივი გამიმართეს. დავეცი, წიხლებით შემდგნენ, სახეში მირტყეს. ვიღაც ქალები კიოდნენ, მოკვდა, შეეშვითო, მაგრამ არ ჩერდებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დამანებეს და გაიქცნენ. მარჯვენა თვალთან ნაკერები დამადეს. ტვინის შერყევა, სხეულის დაბეჟილობა მაქვს. ამის მერე ისევ დამკითხეს, განცხადებაც დავწერე. მითხრეს, სისხლის სამართლის საქმეა აღძრულიო, მაგრამ რას იზამენ, არ ვიცი. მუშტი-კრივით საქმის გარჩევა არ შეიძლება, მით უმეტეს, როცა გამგებლის მოადგილე გქვია.

— რატომ დაუპირისპირდით ერთმანეთს? როგორც ვიცი, როცა ავალიანი პარტიის თავმჯდომარე იყო, მისი მოადგილე იყავით და მეგობრობდით კიდეც.

— ასე იყო, სანამ ამბაკო პარტიის თავმჯდომარე იყო, თავი ჰქონდა გადადებული, მართლა გულითა და სულით ვიბძროდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტიიდან წავიდა და გამგებლის მოადგილედ დაინიშნა, ურთიერთობა დაგვეძაბა. მე სამართლიანად და ლოგიკურად მინდოდა პარტიის თავმჯდომარის პოსტის დაკავება და არ მომწონდა, ავალიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებთან ერთად რომ ჩნდებოდა. ამას მხარდამჭერებიც ამჩნევდნენ და მეკითხებოდნენ, ამბაკომ რატომ გაგვყიდაო. ვერავის დავადებ ხელს, რომ გაგვყიდა, მაგრამ ფაქტია — იმ ადამიანებთან, რომლებიც დასაჭერად დაგვდევდნენ, გვემუქრებოდნენ, გვავიწროებდნენ და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას ცდილობდნენ, ავალიანს იდეალური ურთიერთობა აქვს. არ ვიცი, როგორ შეიძლება მტერთან მეგობრობა — ისინი ხომ თავად გვეძახდნენ მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს.

— ახლა ვინაა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე?

— არავინ და პარტიის წევრები და აქტივისტები ერთადერთ რამეს ვითხოვთ — ჩატარდეს კონფერენცია და ვისაც ხალხი აირჩევს, ის გახდეს თავმჯდომარე.

„ვერსია“ გამგეობასაც ესტუმრა, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი... გამგებელი ნუგზარ ჩადუნელი მოუხსნიათ, მოვალეობის შემსრულებლად რამდენიმე დღე არავინ დაუნიშნავთ და ახლა თურმე გამგებლის პირველი მოადგილე თენგიზ მიროტაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ონიანი ერთმანეთს ჭამენ. მიროტაძეს გამგებლობა უნდა და სამშაბათს სოფლის რწმუნებულთათვის თათბირის ჩატარებაც განუზრახავს, თუმცა თათბირზე ონიანი შევარდა და ჩაშალა, არ გაქვს უფლებაო. რეალურად, რაიონი პარალიზებული იყო და ჩვენთან სასაუბროდ ერთ-ერთი სოფლის რწმუნებულმა მოიცალა, თუმცა გვთხოვა, არ გამამხილოთ, „პაიმაიუტო“: **„ახლა დაგვიბარეს, საგანგებო თათბირიაო და არ ვიცი, რა ხდება. სამშაბათსაც ასე დაგვიბარეს. თენგიზ მიროტაძე ცდილობდა თათბირის ჩატარებას, მე ვიქნები გამგებლის მოვალეობის შემსრულებელიო, მაგრამ ვინ აცადა? ონიანი შემოვარდა და დიდი ამბები იყო. ეს ის მიროტაძეა, დმანისის გამგებელი რომ იყო, 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოსახლეობამ სკამი რომ დაუწვა და იქიდან ცოცხალმა ძლივს გამოასწრო. ნაციონალების მამა იყო დმანისში, მაგრამ მანამდე გარდაბანში მუშაობდა პოლიციის უფროსის მოადგილედ, თამაზ თამაზაშვილს იცნობდა და მისი მეშვეობით, გარდაბანში დაბრუნდა ვითომ „ქართული ოცნების“ წევრად და პირველ მოადგილედ დაინიშნა, ახლა კი გამგებლობა სურს. არადა, 2 წლის წინ დმანისში „ქართული ოცნების“ შტაბის დარბევასა და აქტივისტების დაკავებას პირადად ხელმძღვანელობდა. ეს საკრებულოს თავმჯდომარე ონიანი, ორჯერ ზედიზედ, მეხუთე ნომერი იყო ნაციონალების სიაში და ახლა ესეც „ოცნებაზე“ დებს თავს. მაგას გამგებლად ავალიანი უნდა — ამბაკო პირდება, თუ გამგებელი გავხდები, მერე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობას გიჩალიჩებ და რაიონს ერთად ვმართავთ, მომავალ არჩევნებზეც სიაშიც ერთად ვიქნებითო. ავალიანი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ რად გინდა, აგერ, მანქანა და ხელფასი მისცეს ნაციონალებმა. ნორიოში კულტურის სახლს შიფერი რომ გადახადეს, ავალიანმა წაიღო და ლემშვენიერაში თავის ფერმას გადააფარა. რატომ ამოიღებს ხმას, გიჟია? თუ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს არ მისცემენ თავმჯდომარის არჩევის საშუალებას, აქ შეიძლება თოფი გავარდეს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და შტაბის უფროსი ოთარ გავაშელიშვილი ამ არჩევნებზე მონაწილეობას აპირებს რაიონში და იცი, ვისი სახელით? — „ოცნების“! 2012 წელს შტაბისა და ბიუროს უფროსად ჰყავდათ, ამტვრევდა ხალხს ცემაში, აშინებდა, აშანტაჟებდა... ახლა კი ნაციონალებს აგინებს და ყვარყვარესავით გაიძახის, ცენტრიდან „ვაპრავებ“ და ნახავთ, კიდევ თუ არ გაკოცნინებთ მუხლის თავზეო... მოგვხედონ, თორემ ისე აიშლება აქაურობა, არჩევნებამდე კი არა, მეორე არჩევნებამდე ვერ დაალაგებენ“.**

ამ საუბრის შემდეგ ჩვენს რესპონდენტს დაუძახეს, თათბირი იწყებაო და ისიც დაგვემშვიდობა, მოგვიანებით კი შეგვატყობინა, ონიანი შემოვიდა თათბირზე და ახალი გამგებელი, ამბაკო ავალიანი წარგვიდგინაო. **„ჯერ შოკშია ხალხი, ამ კაცზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ორი დღის წინ მომხდარი ინციდენტის გამო და ეს გამგებლად დაგვინიშნეს“,** — აცხადებს „ვერსიის“ რესპონდენტი.

„ვერსიამ“ ონიანსა და ავალიანთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ისინი ჩვენს ზარებს არ პასუხობენ, გარდაბნის პოლიციაში კი ადასტურებენ, რომ ავალიანზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას ტყუილში ამხელს

მე-3 გვერდიდან

— მაშინ რატომ გვარწმუნებს თინა ხიდაშელი, კოჰაბიტაცია ხელისუფლებას დასავლეთმა დაავალაო ან როგორ ხსნით ლევან ბერძენიშვილის განცხადებებს, თითქოს მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ევროპა და ამერიკა ვერ გაიგებს?

— მსგავსი ტიპის დავალება საქართველოს მიმართ დასავლეთს არასოდეს დაუყენებია, შესაძლოა, ეს მცირე ხნით აუცილებელი პროცესი იყო, თუმცა მმართველმა გუნდმა მას აბსოლუტურად გაუგებარი ფორმა მისცა. ევროპაში უამრავი პრეზიდენტი თუ პრემიერია დაკავებული და გასამართლებული. დღემდე სარკოზის წინააღმდეგ ორი საქმეა აღძრული და ეს პროცესი არავის უკვირს. მთავარია, მტკიცებულებები არსებობდეს.

— რატომ ვერ მოიძებნა წელიწადნახევრის განმავლობაში მტკიცებულებები ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ?

— უკვე აღარ ვიცი, მერაბიშვილი იყო დამნაშავე თუ ნაციონალური მოძრაობა მას ხელს აწმენდს. ამ მხრივ ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იქცეს. თუ ჭორების დონეზე გავაგრძელებთ ცხოვრებას, ქვეყანა მუდმივად არეული გვექნება.

— შეიძლება საზოგადოება ერთ დღესაც მივიდეს იმ აზრამდე, რომ ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ ჭორების მსხვერპლი იყო?

— დღეს ეს შეორს წასვლას ნიშნავს. ვინ იცის, შესაძლოა, ათ წელიწადში ვიღაცამ მართლაც ასე ჩათვალოს, რადგან, როგორც გითხარით, ადამიანის მეხსიერება ძალიან მოკლეა, შემდეგ კი, ისტორია თავად სვამს კითხვებს და რეალური ფაქტების გადამოწმებას იწყებენ, ამიტომ ნათლად უნდა ვიცოდეთ, ვინ არის დამნაშავე. ნაციონალურ მოძრაობაში მყოფი უდანაშაულო ადამიანებიც სრულყოფილ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდნენ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და პროფესიონალი კადრების დეფიციტია. ისე, თუ დარწმუნებულნი არ ვართ, რომ საქმეში ჩასადები მტკიცებულებებით სასამართლოს პირის ბრალეულობაში ვერ დავარწმუნებთ, ხელი საერთოდ არ უნდა მოვკიდოთ. თუ საკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მტკიცებულებების წარმოდგენა გართულდა, პროცესს თუნდაც ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხით რატომ არ ვიწყებთ? თანაც ეს საკითხი, პირველ ეტაპზე მაინც, პოლიტიკურ პირებს არ ეხება.

— პროკურატურაში ათასობით დაზარალებული მოქალაქის საჩივარი დევს, რომლებიც წინა ხელისუფლებას ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში ადანაშაულებენ. შემდეგი რეაგირება პროკურატურის პრეროგატივა არ არის?

— საჩივარი გასაგებია, მაგრამ ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში კუთვნილი ქონება უკანონოდ ჩამოართვეს, სასამართლოზე მოწმედაც უნდა წარდგეს, ჩანს, მოწმეები ამას ვერ ბედავენ.

— მოწმეებს დღემდე ნაციონალური მოძრაობის ეშინიათ? სადაა ამ დროს ხელისუფლება, რატომ ვერ იქცა მათთვის უსაფრთხოების გარანტად?

— შესაძლოა, ზოგიერთები უბრალოდ ფიქრობენ, რატომ გავიფუჭო საქმე, ხომ შეიძლება ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს ან უმჯობესი იქნება, თუ ფულს მომცემენო! დაზარალებულმა პირებმა სასამართლოში მისვლა და მოწმის სახით ჩვენების მიცემა მორალურ ვალდებულებად უნდა ჩათვალონ, მაგრამ ამ საზოგადოებაში მორალი სად არის, არ ვიცი.

— საგარეო პოლიტიკაზეც ვისაუბროთ. საქართველოს ევროინტეგრაციისადმი მყარი ნება ჩამოყალიბებული აქვს და ასოცირების ხელმოწერამდე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების წინააღმდეგ სიცოცხლის ფასად ბრძოლას შეძლებს?

— ქართველებმა არ ვიცით, რა გვინდა. პირადად მე, ფანატიკურად არასოდეს ვყოფილვარ იმის მომხრე, რომ საქართველო მაინცდამაინც ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს. ევროპული ღირებულებები სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთ ძირითადი ნაწილი რომაა, ამაში დარწმუნებული ვარ.

— ევროკავშირის წევრობა საქართველოსთვის ხომ უსაფრთხოების კუთხითაც მნიშვნელოვანია? ამ განცხადების შემდეგ შესაძლოა საზოგადოებამ ევროპასთან ასოცირების ხელმოწერის მოწინააღმდეგედ აღგიქვათ.

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან ევროპას პარტნიორად ვასახელებთ, ამიტომ ვამბობ, რომ სიმბოლურია, თორემ ევროკავშირი რაღაც მატერიალურს არ მოგვცემს. მოგებაზე ორიენტირებული აზროვნებით, შორს ვერ წავალთ. ასოცირების ხელშეკრულება ვიზებად არ გადაიქცევა. ევროპის ბაზარი რომც გაიხსნას, რა უნდა გავაკეთოთ, როცა გასაყიდი ჯერ არაფერი გვაქვს. მატერიალური აღმავლობისთვის თუ ვიკლავთ თავს, იმედი გაგვიცრუვდება. ევროპისგან მატერიალური კეთილდღეობის მიღების ილუზია მიხეილ სააკაშვილმა შექმნა. საზოგადოებას უნდა ავუხსნათ, რომ ევროპასთან ასოცირება სულიერ დაახლოებას ნიშნავს, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ გადაწყვეტილებით რუსეთზე საბოლოოდ ვამბობთ უარს.

„ნარკოდანაშაულთან ბრძოლამ შედეგი უკვე გამოიღო“

ეროსუდან შელია
557-100-768

ხელისუფლების ცვლილებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, საზოგადოების უმრავლესობა, მათ შორის კრიტიკულად განწყობილი ნაწილიც კი თანხმდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რგოლია. არადა, უწყების წინაშე უამრავი გამოწვევა იდგა — პოლიციის დეპოლიტიზება, საყოველთაო ამნისტიის ფონზე კრიმინალის კონტროლი, ადმინისტრაციულ ჯარიმებზე მაღალი გადასახადის შემცირება და ა.შ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას „ვერსიასთან“ ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი აფასებს.

— ფაქტია, პოლიცია ხელისუფლების წნეხისგან გათავისუფლდა. შესაძლოა, დღეს პოლიტიკური გემოვნება სხვადასხვაგვარია, მაგრამ აღნიშნული პრობლემა მართლაც აღარ არსებობს. არადა ყველას გვახსოვს, წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო როგორ იმართებოდა და რამდენად დიდი ზეწოლის ქვეშ მუშაობდნენ პოლიციის თანამშრომლებიც.

— **თუმცა საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფმა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ძველი ხელისუფლების პოლიტიკის, კერძოდ, უკანონო მოსმენების გაგრძელებაში დაადანაშაულა. როგორია თქვენი პოზიცია — რეალურად გვისმენენ თუ ამ თემით სპეკულირებას გარკვეული ძალები ხელოვნურად ცდილობენ?**

— სამარცხვინოა, როცა გიგი უგულავა უკანონო მოსმენებზე საუბრობს. ეჭვმიტანილ ადამიანს მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში უსმენენ, ეს ნორმალურია. არანორმალურად წინა ხელისუფლება იქცეოდა, როცა უდანაშაულო ადამიანების სატელეფონო საუბრებს ამონტაჟებდა და მათ წინააღმდეგ საქმეებს ამ ფორმით თითხნიდა. გიგი უგულავა და მისი თანაგუნდელები პანიკაში არიან, რადგან მიხვდნენ, რომ ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისგება მოუწევთ. დიახ, კანონის ფარგლებში ასეთ ადამიანებს უნდა მოუსმინონ და ეს აუცილებელიცაა. სააკაშვილის დროს ყველამ იცოდა, რომ ტოტალური მოსმენები ხორციელდებოდა. მაშინ მოქალაქეებს სახელმწიფოს მიმართ შიშიც გაუჩნდა, დღეს კი, შსს მართლაც რომ გვისმენდეს, ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას არსებული შიში აღარ არსებობს, რადგან უდანაშაულო მოქალაქეების წინააღმდეგ საქმეებს არავინ „კერავს“. ბუნებრივია, ცუდია, თუ ვინმეს პირად ცხოვრებაში უკანონოდ იქექებიან, მაგრამ საზოგადოების მცირე ჯგუფის მიერ ხელოვნურად აგორებულ პანიკას ნამდვილად არ შევუერთდები. ისე, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა, მეორე, უხილავი ფენაც არსებობს. მისი და ოპოზიციის ინტერესები ხშირად ემთხვევა, ასე რომ, ეს პროცესი ხელოვნურად აგორებულია და პოლიტიკურ ნიშნებს შეიცავს.

— **ვის გულისხმობთ „უხილავ ფენაში“ და რა მიზანს ემსახურება შსს-ს წინააღმდეგ აგორებული კამპანია?**

— ნაციონალებთან ახლოს მყოფ ფენას ვგულისხმობ, რომელსაც ყოფილი სახელისუფლო პარტიისგან განსხვავებით, სამომავლოდ, სხვა პოლიტიკური ხედვები აქვს. ჯერჯერობით, ისინი კულუარულად მოქმედებენ, თუმცა, სავარაუდოდ, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამოჩნდებიან. რაც შეეხება მიზანს, ცდილობენ ხელისუფლების წინააღმდეგ უარყოფითი მუხტის შექმნას, რათა, თუნდაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის საზოგადოების აზრი მოამწიფონ.

— **შსს-ს საქმიანობას დავუბრუნდეთ... წელიწადნახევრის განმავლობაში უწყებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა, მათ შორის, ნარკოდანაშაულთან ბრძოლა გამკაცრდა. მსგავსი მიდგომით რეალური შედეგის მიღების მოლოდინი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, ნარკოდანაშაულთან მუშაობის კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები უკვე მივიღეთ, თუმცა სამწუხაროდ, მოზარდებში ეს პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. თუ მოზრდილები ნარკოტიკების გამოყენებისთვის ისჯებიან, მოსწავლეებს ამის გამო არავინ სჯის და მათ მიმართ ყურადღება ნაკლებია, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ მიმართულებით საკუთარი პოლიტიკა უნდა ჩამოაყალიბოს. მაგალითად, ვაკეში, ნარკოტიკული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოზარდები გარეთ გასვლას საპატრულო პოლიციის შიშით ერიდებიან, მაგრამ გარეუბნებში მეტ სითამამეს ავლენენ... ამიტომ ვამბობ, რომ ახალგაზრდებთან მიმართებაში განსხვავებული მიდგომა უნდა შემუშავდეს. მისასალმებელია, რომ ნარკოდანაშაულთან მიმართებაში კანონი გამკაცრდა, რადგან საქართველოს არ აქვს ფუფუნება ამდენი ნარკომანი ჰყავდეს.

— **შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საყოველთაო ამნისტიის შემდეგ კრიმინალის კონტროლიც იყო. უწყებამ ამ ამოცანასაც თავი წარმატებით გაართვა?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს, დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, ვერ შევედავებით — ეს მიმართულება სტაბილურად შენარჩუნდა. თუ სიღრმისეულ ანალიზს გავაკეთებთ, შსს-ს პრობლემები საგამოძიებო ნაწილში, კერძოდ, ნივთმტკიცებებთან მიმართებაში აქვს. შსს-ს მიერ წარმოებული გამოძიება საკმაოდ სუსტია ისეთი დანაშაულების მიმართ, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგაა მიმართული. გამოძიებაზე ზედამხედველობის თვალსაზრისით კი, სერიოზული სამუშაოები პროკურატურაშიც უნდა ჩატარდეს. მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სამედიცინო ექსპერტიზამაც, რადგან, როგორც წესი, გამოძიებას სიღრმისეული და გააზრებული დასკვნები არ მიეწოდება. ვფიქრობ, ეს გამოუცდელობის ბრალია, რომელიც, როგორც ექსპერტებს, ისე მკვლელობის გამოძიებაზე მომუშავე პირებსაც ეტყობათ. სიმართლე გითხრათ, როგორც სამედიცინო ექსპერტი, სამხარაულის ექსპერტიზის ცენტრში უფრო მეტ პრობლემას ვაწყდები, რაც ბუნებრივია, გამოძიებაზეც აისახება.

— **საგამოძიებო ნაწილში პრობლემები ახლა გაჩნდა და ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას არ არსებობდა?**

— რა თქმა უნდა, ეს პრობლემა წლების განმავლობაში არსებობდა, რისი მიზეზიც მხოლოდ ვანო მერაბიშვილი კი არა, ადეიშვილი, საპროცესო კანონმდებლობა და მკვლელობების საქმეების მიმართ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა გახდა. წლები უდანაშაულობის პრეზუმპცია ბოლომდე გადახაზული იყო და წაყენებული ბრალის დასაბუთებას არავინ ცდილობდა. ეს პრობლემა კომპლექსურია და მხოლოდ საკადრო პრობლემის შედეგი არ არის. ხარვეზების აღმოფხვრა რამდენიმე მიმართულებით უნდა დაიწყოს, მათ შორის საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და კადრების გადამზადების მიმართულებით. ამ ტიპის საქმეებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხედვაც სწორად უნდა ჩამოყალიბდეს. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ამ მიმართულებით გარკვეული ჯგუფი ჩამოყალიბდება, რომელიც ხარვეზების გამოსწორებაზე იზრუნებს. ამას ჩასაფრებული პოზიციიდან არ ვამბობ, პირიქით, მინდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა მიმართულებით წარმატებით იმუშაოს.

— **თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა.**

— დიახ, ეჭვი არ მეპარება, გახსნილი დანაშაულების სტატისტიკა მართლაც გაიზარდა, მხოლოდ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მიმართულებით არსებულ საქმეებზე ვსაუბრობ — მთავარია, შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული პრობლემების გამოსწორების ნება აქვს, უბრალოდ, უწყებას მეტი გამოცდილება და ექსპერტიზის დახმარებაც სჭირდება. ფაქტობრივად, ეს ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია და თითოეულში ცვლილებაა აუცილებელი.

— **რაც შეეხება ადმინისტრაციული მიმართულების შსს-ს მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, ჯარიმებზე გადასახადის შემცირება დარღვევების ზრდას ხომ არ გამოიწვევს?**

— ჯარიმებზე მაღალი გადასახადი, დარღვევების პრევენცია სულაც არ გახლდათ. ჩემი აზრით, არ არსებობს საშიშროება, რომ ადმინისტრაციული დარღვევების რაოდენობას ჯარიმების განახევრებული გადასახადი გაზრდის, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა მისასალმებელია, რადგან ეს საზოგადოებას საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვა.

ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1972 წელს დაბადებული კობა ზ. და 1968 წელს დაბადებული გივი ნ. ყაჩაღობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გურჯაანში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქალაქ გურჯაანში მდებარე ერთ-ერთი ბანკის საინკასაციო მანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. მათ წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი ჯავშანმანქანის მოძრაობის განრიგი და მარშრუტი.

სამართალდამცველებმა გივი ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები და კუსტარულად გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას განეკუთვნება და სასროლად ვარგისია.

გამოძიება მიმდინარეობს ყაჩაღობის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით (საქართველოს სსკ-ს 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით) და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

პროკურატურა გიგი უგულავას დაპატიმრებას არ ითხოვს

პროკურორმა ნათია სონღულაშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს, სასამართლოს წინაშე უგულავასთვის გირაოს პატიმრობით შეცვლის შესახებ იშუამდგომლოს:

„მესმის უგულავას ეიფორია და ის განცხადებები, რაც პროცესის დაწყებამდე ჰქონდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მთავარი პროკურატურა სასამართლოს არ მიმართავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე“.

რაც შეეხება გიგი უგულავას მიერ გავრცელებულ ჩანაწერს, რომელშიც თბილისის ყოფილი მერისა და მისი შვილის, ასევე სხვა პირთან საუბრებია ჩაწერილი, პროკურორმა კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს ჩანაწერები: **„გიგი უგულავას საუბრის ჩანაწერი საქმეს დავურთეთ. ეს ჩანაწერი განხორციელდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ უგულავა მერის თანამდებობიდან გადააყენა, ამ საუბრებით ჩვენ ვადასტურებთ, რომ უგულავა ამ ხნის განმავლობაში ფორმალურად იყო გადაყენებული და ფაქტობრივად, კვლავ მერის მოვალეობას ასრულებდა“.**

გიგი უგულავასა და მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალდების საქმეზე წინასასამართლო სხდომა 17 მარტს განახლდება. პროკურატურის ცნობით, საქმე დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას ეხება.

„პირველი“

ვერსიანიუსი

ლაგოდეხში მამაკაცმა მამაკაცი გააუპატიურა

ლაგოდეხში 42 წლის მამაკაცმა 37 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცი გააუპატიურა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დამნაშავე აზერბაიჯანის მოქალაქე 1973 წელს დაბადებული ელმან ა. უკვე დაკავებულია.

ფაქტზე საქმე 138-ე მუხლით აღიძრა, რაც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას გულისხმობს.

გაუპატიურების ფაქტი თვითმხილველმა გაახმაურა, რომელმაც მომხდარი მობილური ტელეფონით გადაიღო.

„ნიუპოსტი“

ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ „ᲒᲣᲓᲕᲘᲚᲘᲡ“ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚ ᲒᲝᲒᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ

ᲰᲘᲞᲔᲠᲛᲐᲠᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

თიბისი ბანკმა კომპანია „გუდვილის“ წინააღმდეგ სარჩელით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. ბანკის იურისტმა, გიორგი ბათლიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს, რათა „გუდვილის“ იმ პასუხისმგებელი პირის ბრალეულობა გამოიკვეთოს, რომელიც ბანკს გაყალბებულ ფინანსურ დოკუმენტებს აწვდიდა. გიორგი ბათლიძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ამ ტიპის გაყალბება კომპანიის დამფუძნებლის, გოგი შევარდნაძის გარეშე ვერ მოხდებოდა, მაგრამ დოკუმენტებზე მისი ხელმოწერა არ ფიქსირდება და, შესაბამისად, პროკურატურასაც სწორედ ეს საკითხი აქვს გასარკვევი. გამორიცხული არ არის, მთავარმა პროკურატურამ „გუდვილის“ დამფუძნებლის, გოგი შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ „გუდვილში“ შექმნილი პრობლემების გამო კი არა, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელის, პაატა კაჭარავას სარჩელის საფუძველზეც აღძრას. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ „თბილელექტროაპარატის“ (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა) კუთვნილი 3 000 000 ლარად შეფასებული წარმოება, 2010 წლის 10 მაისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პირდაპირი მიყიდვის წესით, „გუდვილის“ მფლობელ გოგი შევარდნაძეს, 500 000 ლარად გადაულოცა. პაატა კაჭარავას კუთვნილი წარმოების ადგილზე კი გოგი შევარდნაძემ „მარშე“ გახსნა, ამიტომ „საბას“ მფლობელი წართმეული ქონების დაბრუნებასა და „გუდვილის“ დამფუძნებლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვს. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ფინანსურ კრიზისში ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი ჰიპერმარკეტების ქსელი და, რეალურად, რა მოხდა „გუდვილში“? „ვერსიამ“ მოვლენათა ქრონოლოგიის შესახებ, რეალური ფაქტები და შესაბამისი დოკუმენტები თიბისი ბანკისგან გამოითხოვა. მასალებში ჩანს შეცდომები, რომლებიც „გუდვილის“ ხელმძღვანელებმა დაუშვეს და რის გამოც წარმატებით დაწყებული ბიზნესი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს.

„ᲒᲣᲓᲕᲘᲚᲘᲡ“ ᲐᲠᲐᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ

კომპანია „გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე, ჰიპერმარკეტების ქსელში არსებულ ფინანსურ პრობლემებს წინა ხელისუფლებას აბრალებს. არც ისე დიდი ხნის წინ, მედიაში „გუდვილისა“ და „მარშეს“ ერთობლივი განცხადება გავრცელდა, სადაც კომპანიის მენეჯმენტმა მომხმარებელს სარეაბილიტაციო რეჟიმში გადასვლის მიზეზები აუხსნა: **„2004 წლიდან მოყოლებული, „გუდვილის“ ბაზარზე გამოჩენის შემდეგ, ჩვენს კომპანიას არაერთხელ მოუხდა არამიზნობრივი ხარჯების გაწევა, რაც არანაირი ლოგიკით არ ჯდებოდა კომპანიის ბიზნესინტერესებსა და განვითარების სტრატეგიაში. ჯამში, ასეთი ხარჯი 30 000 000 ლარს აჭარბებს. სხვადასხვა ეტაპზე, ასეთი მძიმე გადაწყვეტილებების მიღება საჭირო ხდებოდა, რადგან სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა არათუ ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა, არამედ მისი შენარჩუნებაც კი. სწორედ ამ ტიპის ხარკის გაღებით შეძლო „გუდვილმა“ და „მარშემ“ არსებობა“.**

სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვთ თიბისი ბანკის წარმომადგენლებს, რომლებიც ჰიპერმარკეტების ქსელში არსებულ ფინანსურ პრობლემებს კომპანიის დამფუძნებლისა და ტოპმენეჯმენტის გაუაზრებელი ქმედებებით ხსნიან. 2003 წლიდან, კომპანია „გუდვილს“ თიბისი ბანკი აფინანსებდა, ხელს უწყობდა მის გაფართოებასა და ფინანსური ნაკადების მართვას. როდესაც „გუდვილის“ დამფუძნებელმა, გოგი შევარდნაძემ საკუთარი წარმოების აწყობა გადაწყვიტა, თიბისი ბანკმა შესაბამისი თანხა გამოუყო და ასე შეიქმნა „მარშეს“ წარმოება. 2012 წლის ბოლოს, „გუდვილსა“ და „მარშეს“ თიბისი ბანკის მიმართ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, კომპანიის აქტივები კი, ბანკის სასარგებლოდ, გირავნობითა და იპოთეკით დატვირთეს. პარალელურად, კომპანიის საწესდებო კაპიტალში გარკვეული ვალდებულებებით იყო დატვირთული გოგი შევარდნაძის, როგორც დამფუძნებლის, წილი.

„ვერსიას“ თიბისი ბანკის წარმომადგენლებმა აუხსნეს, რომ „გუდვილს“ დიდი ფინანსური ვალდებულებები იმ არაერთი უმსხვილესი პროექტის შედეგად წარმოეშვა, რომლებსაც კომპანიის მენეჯმენტი გაუაზრებლად, მოსალოდნელი ფინანსური ეფექტის გაანალიზების გარეშე ახორციელებდა. ფაქტები ცხადყოფს, რომ ფინანსურად წამგებიანი აღმოჩნდა: „ჯი-მარტის“ განვითარების გზით კომპანიის ქსელის ზრდა; ვაკეში „გუდვილისთვის“ შენობის შეძენა (და არა ქირაობა); „მარშეს“ წარმოების შექმნა, რომელშიც გაუმართლებლად დიდი ინვესტიციები ჩაიდო; გოგი შევარდნაძის მიერ „გუდვილში“ სხვა პარტნიორის წილის გამოსყიდვა.

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ კულუარულად შეიტყო რეალური მიზეზი, რის გამოც „გუდვილსა“ და „მარშეს“ ფინანსური პრობლემები შეექმნა. წყაროს ინფორმაციით, გოგი შევარდნაძემ საკმაოდ სოლიდური თანხა დააბანდა აფრიკის კონტინენტზე მდებარე, ერთ-ერთ ოქროს საბადოში. როგორც ჩანს, გოგი შევარდნაძეს ურჩიეს, რომ მოკლე დროში დიდ მოგებას ნახავდა, მაგრამ ის კი ვერ გაითვალისწინეს, რომ სოფელში, სადაც ეს საბადო მდებარეობს, მმართველობა იმის მიხედვით იცვლება, თუ რომელი კლანი გაიმარჯვებს შეიარაღებულ დაპირისპირებაში. მოკლედ, ამ სოფელში სხვადასხვა კლანებს შორის ომი ჩვეულებრივი ამბავია და ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების დროს, სოფელში მმართველობა შეიცვალა. ახალმა მმართველმა კი გოგი შევარდნაძის დაბანდებული თანხა არაფრად ჩააგდო, რის გამოც „გუდვილის“ მფლობელმა საკმაოდ სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა.

ᲒᲝᲒᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲑᲐᲜᲙᲡ ᲧᲐᲚᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲬᲕᲓᲘᲓᲐ?

თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ „გუდვილი“ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაღალი საოპერაციო ხარჯებით ოპერირებდა, რის გამოც კომპანიას ფულადი სახსრების დეფიციტი შეექმნა და ბანკის სესხების მომსახურება აღარ შეეძლო. თიბისი ბანკის წარმომადგენლებმა ამ ფაქტის შესახებ მოგვიანებით შეიტყვეს და ისიც გაარკვიეს, რომ ბოლო წლებში, „გუდვილი“ ბანკს არაზუსტ ფინანსურ მონაცემებს აწვდიდა, რათა დამატებითი დაფინანსება მიეღო. კერძოდ, ბანკს ატყუებდნენ არსებული მარაგის ღირებულებისა და სხვა ისეთი მონაცემების შესახებ, რომელთა გადამოწმება ბანკის თანამშრომლებს ტექნიკურად არ შეეძლოთ. ასეთი ყალბი ინფორმაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა „გუდვილის“ უნარი — ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ფინანსურ ვალდებულებებს მომსახურებოდა.

2013 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც თიბისი ბანკის ხელმძღვანელობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კომპანია არასწორ მონაცემებს აწვდიდა, „გუდვილის“ დამფუძნებლებს ფინანსური უწყისების წარდგენა მოსთხოვა. „გუდვილის“ მენეჯმენტი კი, გარკვეული დროის მანძილზე, თითქოს სწორი, სინამდვილეში კი, არაზუსტი ინფორმაციის მიწოდებას კვლავაც აგრძელებდა. ბოლოს, „პროგრამის დაზიანების“ მიზეზით, 2012 წლამდე პერიოდის ფინანსური ინფორმაცია კომპანიამ საეჭვოდ გააქრო, რაც თიბისი ბანკის წარმომადგენლებს უამრავ კითხვას უჩენს.

2013 წლის 29 მარტს, „გუდვილის“ დამფუძნებელმა, ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, თავადვე აღიარა, რომ შეგნებულად ატყუებდა ბანკს და გაყალბებულ ფინანსურ ინფორმაციას აწვდიდა. საბოლოოდ, შექმნილი მდგომარეობის ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ თიბისი ბანკი, მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საკუთრებაში მიიღებდა ანუ „გადაიფორმებდა“ იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების ნაწილს. ამით კომპანიის დავალიანება და სესხის მომსახურების ხარჯი შემცირდებოდა, ხოლო თანხის ბრუნვისას, „გუდვილს“ ნაკლები პრობლემა შეექმნებოდა. თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ, რეალურად, ეს იყო ერთადერთი გზა, რათა კომპანიას საქმიანობა გაეგრძელებინა.

ᲠᲐ ᲡᲣᲠᲡ ᲒᲝᲒᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ?

„კომპანია „გუდვილის“ დამფუძნებლის ბოლოდროინდელი განცხადებები ცხადყოფს, რომ გოგი შევარდნაძე აქტიურად ცდილობს, თიბისი ბანკის მისამართით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებებით, ბანკზე ზეწოლის მიზნით, მედიის ყურადღება მიიქციოს. მეორე მხრივ, „გუდვილის“ დამფუძნებლის მიზანია, კომპანიის რეაბილიტაციის მმართველი გახდეს ისეთი პირი ან კომპანია, რომლის უფლებამოსილებები, ძირითადად, აუდიტორული საქმიანობით იქნება შემოფარგლული, კომპანიის მენეჯმენტს რეალურად მართავს და გადაწყვეტილებებსაც, უშუალოდ, გოგი შევარდნაძე იღებს“, — განუცხადეს „ვერსიას“ თიბისი ბანკში.

ბანკის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კომპანია PKF-ს შემთხვევაში, რომლის კანდიდატურა რეაბილიტაციის მმართველად სწორედ „გუდვილმა“ წამოაყენა, უფლებამოსილებები ასეა განსაზღვრული — რეალურ მმართველად კვლავ გოგი შევარდნაძე რჩება. შესაბამისად, ამ კომპანიას მხარი არ დაუჭირეს კრედიტორებმა, რომლებისთვისაც მიუღებელია „გუდვილის“ დამფუძნებლის სრული გავლენა კომპანიის მიმდინარე საქმიანობაზე. თავის მხრივ, თიბისი ბანკი მხარს დაუჭერს ისეთ კანდიდატურას (თუნდაც ეს იყოს PKF), რომელიც კომპანიის საქმიანობაზე სათანადო კონტროლს განახორციელებს და, იმავდროულად, „გუდვილის“ დამფუძნებლის, გოგი შევარდნაძის თვითნებობასაც გამორიცხავს.

ვიდრე კომპანია PKF „გუდვილის“ მმართველი გახდებოდა, ჰიპერმარკეტების ქსელის დამფუძნებელმა, გოგი შევარდნაძემ საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით გაავრცელა განცხადება. მისი თქმით, თუ რეაბილიტაციის მმართველად თიბისი ბანკის მიერ წარდგენილ პირს დანიშნავენ, ის ბანკის, როგორც ყველაზე მსხვილი კრედიტორის ინტერესებს განახორციელებს, რაც საბოლოო ჯამში, „გუდვილს“ გააკოტრებს, ხოლო თიბისი ბანკი კომპანიაში გოგი შევარდნაძის წილს დაისაკუთრებს. მოგვიანებით, როდესაც ხმათა უმრავლესობით, რეაბილიტაციის მმართველად „გუდვილის“ მიერ წარდგენილი კომპანია დამტკიცდა, გოგი შევარდნაძემ ისევ სააგენტოების საშუალებით, მადლიერების წერილი გაავრცელა: **„ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში სწორი და თანამედროვე გზით განვითარდება, სადაც პარტნიორებს შორის შეთანხმება ჯანსაღი, ხოლო სახელმწიფოსთან ურთიერთობა მხოლოდ კანონმდებლობის ჩარჩოებში იქნება მოქცეული. დღევანდელი გულახდილობისკენ მადლიერების გრძნობამ მიბიძგა, მადლიერებამ იმ ხალხისა და კომპანიების წინაშე, რომლებმაც ბოლო პერიოდში, „გუდვილის“ გარშემო შექმნილი აჟიოტაჟისას, პარტნიორული და გულშემატკივრული პოზიცია გამოხატეს. როცა „გუდვილის“ შექმნა გადავწყვიტე, ვიცოდი და მწამდა, რომ ჩემს გუნდთან ერთად, საქართველოში ახალი, თანამედროვე სამომხმარებლო კულტურის დანერგვას მოვახერხებდი. „გუდვილმა“ საკმაოდ მოკლე დროში მოიპოვა მომხმარებლის მხრიდან ლოიალობა და ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა იყო ჩვენი მთავარი სტრატეგია — არაფრის ხარჯზე არ დაგვერღვია, როგორც შეთავაზებული პროდუქციის, ისე მომსახურების ხარისხის სტანდარტი. ბევრი მიზეზის გამო იყო დიდი სიძნელეებიც, რაზეც არაერთხელ ითქვა და დაიწერა კიდეც, პრობლემებიც დაგროვდა, მაგრამ მენეჯმენტმა, მომწოდებლებმა, მომხმარებლებმა, ყველამ ერთად გავიარეთ ბეწვის ხიდზე. გვქონდა დაძაბული და ემოციური სასამართლო პროცესი რეაბილიტაციაში შესვლასთან და რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით. ამ სასამართლო პროცესმა ნათლად დამანახა, რომ დღევანდელი სასამართლოს პირობებში, ბიზნესს შეუძლია გაცილებით მშვიდად იყოს, ვიდრე ეს წინა, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში იყო. ქართული ბიზნესი ხელისუფლებისგან ამგვარ დამოკიდებულებას ჩვეული არ ყოფილა და იმედი მაქვს, ეს ტენდენცია შეუქცევად ხასიათს მიიღებს“.**

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ნაციონალები პრაიმერიზს აღარ ჩაატარებენ. ორი კონკურენტიდან ერთ-ერთმა, გიორგი ვაშაძემ, კანდიდატურა ნიკა მელიას სასარგებლოდ მოხსნა, რომელიც დარწმუნებულია, რომ სახელისუფლებო კანდიდატს დაამარცხებს. მელიას თქმით, ვაშაძის გადაწყვეტილება სიურპრიზი არ იყო, რადგან ამის შესახებ მათ შორის საუბარი რამდენიმე დღის წინ შედგა: **„გიორგიმ ჩათვალა საჭიროდ, ჩემს სასარგებლოდ მოეხსნა კანდიდატურა. მიაჩნია, რომ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც უნდა იყოს აქტიური. ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება. დღეიდან ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ჩვენი თანამოაზრეებისთვის იწყება საარჩევნო კამპანია. რეალური შანსი არსებობს, დავამარცხოთ სახელისუფლებო კანდიდატი, რომელსაც არ აქვს ის გამოცდილება, რომელიც დღეს სჭირდება თბილისს“.**

„ნიუპოსტი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი — გზა თქვენი წარმატებებისკენ!

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კსუ) გელით ყველას, ვისაც გსურთ, მიიღოთ ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული განათლება!

ვინც ხართ მზად იდეებისთვის, ბრძოლისთვის!

ვისაც გინდათ, ისწავლოთ გზა გამარჯვებისკენ!

ვისაც გიყვართ ცხოვრების აქტიური და დინამიური ტემპი!

ვისაც გიყვართ კულტურა, ხელოვნება, სპორტი!

ვისაც ყოველთვის გსურდათ, გესწავლათ ევროპული სტანდარტებისა და მაღალი ტექნიკური ბაზით აღჭურვილ უნივერსიტეტში!

ვისაც გაქვთ სურვილი, რომ მომავალ პროფესიას ეუფლებოდეთ საქართველოსა და მის ფარგლებსგარეთ ცნობილი პროფესორების უშუალო ხელმძღვანელობით!

ვინც ოცნებობთ, რომ სწავლის მეორე საფეხურიდან ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეს შეუერთდეთ!

ისწავლეთ წარმატებისკენ მიმავალი გზა და შემოხაზეთ 115, რათა ყველა თქვენი სურვილი რეალობად იქცეს!

მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოური სივრციდან გამოსვლის შემდეგ ქვეყანაში არა ერთი საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი მოქმედებდა, საქართველოში მაინც არსებობდა დასავლური ყაიდის უნივერსიტეტის შექმნის მოთხოვნილება; ბოლო 19 წლის მანძილზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სწორედ ეს მისია დაისახა; დამფუძნებელთა და ცნობილ, გამოცდილ მეცნიერთა ჯგუფის ერთობლივი მცდელობის შედეგად უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ოთხი ძლიერი, მაღალი პროფესიული აკადემიური კადრით დაკომპლექტებული და თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით აღჭურვილი ფაკულტეტები:

1. სამართლის ფაკულტეტი;
2. ბიზნესის ფაკულტეტი;
3. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
4. მედიცინის ფაკულტეტი.

2005-2007 წლებში უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია; 2012 წელს კი 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების — უნივერსიტეტის სტატუსი. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლა სამსაფეხურიანი გახდა. კსუ ახორციელებს საბაკალავრო, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურენოვან) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. შესაბამისად, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 3500-ით განისაზღვრა.

კსუ-ში მუდმივად მიმდინარეობს ისეთი ევროპული უნივერსიტეტების ძიების პროცესი, რომელთანაც თანამშრომლობა ჩვენს სტუდენტებსა და სამეცნიერო აკადემიურ პერსონალს საშუალებას აძლევს, გაეცნონ საერთაშორისო პარტნიორების საქმიანობის კომერციულ და კულტურულ მხარეებს; წარჩინებულ სტუდენტებს კი ეძლევათ შანსი, სწავლა გააგრძელონ პარტნიორ უნივერსიტეტებში როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

2012-2013 წლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შეემატა კიდევ ერთი ახალი შენობა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე საუნივერსიტეტო სტანდარტებს. ევროპული სტანდარტების აუდიტორიები, დიდი ბიბლიოთეკა, თანამედროვე კაფე, სპორტული დარბაზები და გამწვანებული ეზო საუკეთესო სასწავლო გარემოს ქმნის.

კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, უნივერსიტეტში სისტემატურად იხვეწება სწავლების თანამედროვე მეთოდები; შემუშავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები, ინერგება სიახლეები, უნივერსიტეტში იქმნება ინტერდისციპლინური პროგრამები, ფუნქციონირებს სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები. ყოველივე აღნიშნული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აღიარებისა და ევროსივრცეში მისი სრულად ჩართვის საფუძველია. უნივერსიტეტში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობები ვიდეო-კონფერენციების ჩატარების, დისტანციური სწავლების დანერგვის, მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან პირდაპირი დაკავშირების საშუალებას იძლევა.

სწავლების ხარისხის ასამაღლებლად უნივერსიტეტი სათანადო ყურადღებას უთმობს და ითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებებს. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიური პროცესების შეფასებაში.

სტუდენტთა პროფესიულ დაოსტატებას ხელს უწყობს თანამედროვე ლიტერატურითა და ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ფონდიც. უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებთან. „მოწვეული სტუმრის“ პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება აქვთ, კონტაქტი დაამყარონ პოლიტიკის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ დასაქმებას. სწავლისა და კვლევის სფეროების არჩევაში სტუდენტებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მათ შექმნეს ქმედითუნარიანი თვითმმართველობის ორგანო. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტი განსაზღვრავს სწავლებისა და კვლევის პრიორიტეტებს.

ასე რომ, ვისაც გაქვთ ამბიცია, რომ შეიქმნათ ძლიერი და წარმატებული ცხოვრება!

ვისაც გჯერათ, რომ თქვენი მომავალი თქვენს ხელშია!

ჩვენ გელით! შემოხაზეთ 115, რადგან სწორედ ჩვენ ვქმნით თქვენს მომავალს!

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის გზა თქვენი წარმატებებისკენ!

„საქართველოს ბანკმა“ 176-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დააფინანსა

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით დედაქალაქს კიდევ ერთი საერთაშორისო სტანდარტის საცხოვრებელი კომპლექსი შეემატება. ამჯერად, ი. აბაშიძის №70-ში. ბანკის წარმომადგენლებმა, ბანკის მიერ დაფინანსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ჟურნალისტებთან ერთად დაათვალიერეს. სამშენებლო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“ ახორციელებს, რომელსაც ბანკმა მხოლოდ ამ პროექტისთვის 7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოუყო. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, სულხან გვალიას განმარტებით, ბანკი სამშენებლო სექტორს, მომავალშიც აუცილებლად დააფინანსებს.

სულხან გვალია: „საქართველოს ბანკი“ განაგრძობს სამშენებლო სექტორისა და ბანკის კლიენტი სამშენებლო კომპანიების დაფინანსებას. ამჯერად, ბანკმა 7 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო რესურსი კომპანია GDG-ს გამოუყო. აღნიშნული თანხით და კომპანიის მიერ ჩადებული საკუთარი კაპიტალით, მთლიანად შეიკრა საჭირო დაფინანსება, რაც ამ კომპლექსის დასრულებისთვისაა გათვლილი. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია, რომ „საქართველოს ბანკი“ განაგრძობს ეკონომიკურად გამართლებული პროექტების დაფინანსებას, მათ შორის სამშენებლო სფეროში“.

ახალი საცხოვრებელი კომპლექსი მოიცავს 176 ბინას, 206 ავტოსადგომს, 2, 052 კვ.მ მოცულობის სავაჭრო და საოფისე ფართს. საცხოვრებელ კომპლექსს ექნება საკუთარი საცურაო აუზი და ფიტნესკლუბი. კომპანია **GDG**-ს ერთ-ერთი დამფუძნებლის, **ბეჟან წაქაძის** განმარტებით: **„პროექტი ხორციელდება ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც გახლავთ 8 ათასი კვადრატული მეტრი. მოშენების ფართი, ანუ შენობა სადაც იდგება, არის 1800 კვადრატულ მეტრამდე, ხოლო დანარჩენი ფართი განსაზღვრულია ეზოსთვის. ეს იქნება დახურული სივრცე თავისი ეზოთი. უკანა მხარეს გვექნება დახურული საცურაო აუზი, რომელიც ამ კომპლექსის შემადგენელი ნაწილი გახდება. ასევე, განსაზღვრულია საერთო პარკინგი 100 ავტომობილზე, ხოლო დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სადგომები გამოყოფილია მიწისქვეშ 215 ავტომობილზე. კორპუსი შენდება მთლიანად ქართული კერამიკული აგურით. კორპუსს არ ექნება ტიპური სადარბაზო. ჩვეულებრივ სადარბაზოზე უარის თქმა ჩვენი კომპანიის ერთგვარი ინოვაციაა — მობინადრეებს სასტუმროს ტიპის კომპლექსს ვთავაზობთ, სადაც ხალხი იგრძნობს თავს მაქსიმალურად კომფორტულად. განსაზღვრულია სამი შესასვლელი და ერთიანი ჰოლი 650 კვადრატული მეტრის ფართობით. კომპლექსის ქვედა სართულებზე იქნება კაფე-ბარები, სადაც მაცხოვრებლები სტუმრების მიღებას ძალიან მყუდრო გარემოში შეძლებენ. შენობაში იქნება 6-მეტრიანი ჭერი. კიბე-საფეხურები, თავისი უჯრედებით, მოპირკეთა კი ბერძნული მარმარილოთი“.**

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. 6 სართული უკვე აშენებულია. სამშენებლო სამუშაოების 90% მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ბეჟან წაქაძის განმარტებით, ამ საცხოვრებელ კორპუსში 1 კვ/მ-ს ფასი 1300 აშშ დოლარიდან იწყება. **„იგულისხმება, თეთრი კარკასი. ზედა სართულებზე ფასები შედარებით მაღალია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მშენებლობის პროცესში გამოიყენება ძვირადღირებული მასალა, ადგილია შესანიშნავი – ვაკის პარკიდან სულ 100 მეტრში, ფასი არც ისე მაღალია. ამას ისიც მოწმობს, რომ ბინების, დაახლოებით 30% უკვე გაყიდულია“.**

აღნიშნული პროექტი რიგით მესამეა, რომელსაც კომპანია, „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით ახორციელებს. გასულ, წელს უკვე განხორციელდა ორი პროექტი თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, რისთვისაც საქართველოს ბანკმა ჯამში 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოყო.

კორპორატიული საბანკო საქმიანობის მიმართულებით, ლიდერი „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული საბანკო სესხების პორტფელი, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,8 მილიარდ ლარს შეადგენს. მათ შორის, სამშენებლო სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა 122 მილიონ ლარამდეა.

ნინო ლურსმანაშვილი

საქართველოს მაპ-ი შესაძლოა სექტემბერში მისცენ

საქართველოს შესაძლოა, უკვე სექტემბერში მიეცეს ნატო-ში განევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP), — ამის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა „კომერსანტი“ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

„მათი ინფორმაციით, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უკრაინაში კრიზისის შედეგზე იქნება დამოკიდებული“, — წერს სტატიის ავტორი და იმასაც აღნიშნავს, რომ თუ 16 მარტის რეფერენდუმის შედეგად, ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში განევრიანდება, საქართველო, დიდ ბრიტანეთში, სექტემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე ალიანსში განევრიანების სამოქმედო გეგმას მიიღებს.

„კომერსანტის“ ჟურნალისტი წერს, რომ ნატო-ში განევრიანების პერსპექტივა საქართველოსთვის 2008 წელს, ბუქარესტში გამართული ალიანსის სამიტის დროს გაჩნდა. მისივე აზრით, გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობამ ხელი შეუშალა საქართველოსთვის მაპ-ის მიცემას, მაგრამ საქართველოს დაპირდნენ, რომ მომავალში შეძლებდა ალიანსში განევრიანებას.

სტატიის ავტორის თქმით, 2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, საქართველოს ნატო-ში განევრიანების საკითხი დღის წესრიგიდან გაქრა – 2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის ღიაა.

„უკრაინაში რუსეთის ქმედებებმა აღმოსავლეთ ევროპაში ალიანსის უფრო გადამწყვეტი პოლიტიკის განახლებული დებატების საჭიროება გამოიწვია. საქართველოს განაცხადი ნატო-ში განევრიანების კანდიდატის სტატუსის მიღებაზე, უნდა დაკმაყოფილდესო, ამაზე დღეს იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებიც ალაპარაკდნენ, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოგვიწოდებდნენ, არ მოგვეხდინა ამ საკითხის ფორსირება“, — ციტირებს სტატიის ავტორი ელენა ჩერნენკო ნატო-ში საკუთარი წყაროს კომენტარს და იმასაც აღნიშნავს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში წყარომ განმიცხადა, რომ ცოტა ხნის წინ, ვაშინგტონში ვიზიტად მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი სახლის წარმომადგენლები საქართველოს ნატო-ში ინტეგრირების მხარდაჭერას დაპირდნენო. **„თავად ბატონმა ღარიბაშვილმა კი ვაშინგტონში, „ატლანტიკურ საბჭოში“ სიტყვით გამოსვლისას ნათელი გახადა, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე“,** — წერს ავტორი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებსაც ციტირებს: **„მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, აშშ მხარს უჭერდა ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, უსაფრთხოებასა და დემოკრატიას“.**

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი საკუთარ საზღვრებთან ნატო-ს მიახლოების პერსპექტივებს მიუღებლად მიიჩნევს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის თქმით, ალიანსის გაფართოება ცივი ომის ეპოქის ძველი ლოგიკის გაგრძელებაა.

სტატიის ავტორი იმასაც ამტკიცებს, თითქოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წყარომ განუცხადა, თუ რუსეთი ყირიმს შეიერთებს, საქართველოსთვის მაპ-ის მიცემა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იქნებაო. **„სიტყვა „ფაქტობრივად“ წყარომ იმით ახსნა, რომ საქართველოსთვის ალიანსში განევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემას ხელი შესაძლოა, მხოლოდ გერმანიამ შეუშალოს, რომლის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ისევე, როგორც 2008 წელს, დღესაც მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ხელმძღვანელობს“,** — წერს ელენა ჩერნენკო.

ამასთან, „კომერსანტის“ წყაროს ინფორმაციით, ბერლინისა და სკეპტიკურად განწყობილი სხვა ქვეყნების აზრი შეიძლება შეიცვალოს, რადგან რუსეთთან ყირიმის შეერთება ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში არაა მისაღები.

„ინტერპრესნიუსი“

„საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება თბილისში ბევრ პრობლემას მოაგვარებს“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ხელისუფლებას მოუწოდებს, სატრანსპორტო საშუალებებით დაბინძურებული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის მოთხოვნები დააკმაყოფილოს და საერთაშორისო სტანდარტები დანერგოს. ორგანიზაციის იურისტის, მარიამ ნეფარიძის განცხადებით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, 2015 წლის 1 მარტიდან ტრანსპორტზე ტექნიკური დათვალიერების სისტემა ამოქმედდება. მიუხედავად ამისა, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ჰაერის დაბინძურების საგანგაშო ვითარების გათვალისწინებით, ორგანიზაცია მთავრობას რიგი რეფორმების დაუყოვნებლივ გატარებისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაციის შეფასებით, **„აუცილებელია, ფინანსთა, გარემოს დაცვის, ეკონომიკის სამინისტროებმა, თბილისის მერიამ და სხვა უწყებებმა უზრუნველყონ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება (მეტრო, ავტობუსი, ტრამვაი), რათა შემცირდეს კერძო ტრანსპორტზე მოთხოვნილება (2014-2016 წლებისთვის); ავტოპარკისა და ტაქსოპარკის განახლება გენერალური გეგმის შესაბამისად, რომელიც გაითვალისწინებს არსებულ რეალობას და მოსახლეობას უკიდურეს მდგომარეობაში არ ჩააყენებს; საავტომობილო ტრანსპორტის საგზაო მოძრაობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების, ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა; ტექნიკური დათვალიერების სისტემის აღდგენა, რათა აღმოიფხვრას ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილების მიერ ჰაერის დაბინძურების ხარისხი. ქვეყნის მოსახლეობის არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, განისაზღვროს აღნიშნული ღონისძიებისთვის საჭირო და გონივრული ღირებულება; არსებული ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით; მოხდეს ეკოლოგიურად სუფთა და საწვავის მოხმარების თვალსაზრისით, უფრო ეკონომიური ავტომობილების იმპორტის სტიმულირება საგადასახადო სისტემის შეცვლით; საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების შემოწმება და ეტაპობრივი გამკაცრება ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით“.**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მთავრობამ სატრანსპორტო პოლიტიკა და რეგულაციები უნდა გაამკაცროს, რადგან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების უმეტესი წილი სატრანსპორტო საშუალებებზე მოდის:

„ტოქსიკური ნივთიერებები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. პრობლემის გადაჭრა, ჯანმრთელობის კუთხითაც მნიშვნელოვანია და გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც. სპეციალისტების მტკიცებით, მსოფლიოს მრავალ ქალაქში, ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სიკვდილიანობის პოტენციურ რისკფაქტორს. განსაკუთრებულია მისი ზემოქმედება ორსულებსა და ბავშვებზე. სატრანსპორტო საშუალებებით დაბინძურებული ჰაერი იწვევს ნერვულ და გულსისხლძარღვთა სისტემების ფუნქციის მოშლას, სასუნთქი გზების დაზიანებას, ავთვისებიან სიმსივნეს“.

მათივე შეფასებით, ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტას ხელს უშლის დაუხვეწავი და არასრული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა, კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემის სისუსტე, უწყებათა კომპეტენციების გაუმიჯნაობა, უწყებათშორისი კოორდინაციის დაბალი დონე, ინფორმაციის სიმწირე და არასაიმედოობა: **„საწვავის ხარისხისა და მისი ნორმების მარეგულირებელი ნორმების გამკაცრების მიუხედავად, რომლებიც 2012 წლიდან მოქმედებს, საავტომობილო ბენზინისა და დიზელში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გოგირდის მასური წილი 25-30-ჯერ აღემატება ევროკავშირის სტანდარტებით დადგენილ ნორმებს. ამასთან, ტექნიკური კონტროლის არარსებობის გამო, გაუმართავია ავტომობილების უმეტესობაც“.**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტის, მარიამ ნეფარიძის განმარტებით, განსაკუთრებით მძიმე ვითარება თბილისშია, სადაც ჰაერის დაბინძურების კუთხით 95%-იანი მაჩვენებელი, სატრანსპორტო საშუალებებზე მოდის. მისივე თქმით, დედაქალაქს განსაკუთრებული რელიეფური მდებარეობა აქვს, მთებითაა შემოსაზღვრული და, შესაბამისად, ჰაერი სათანადოდ არ იწმინდება:

„ამიტომ, მნიშვნელოვანია, ნაკლები ტრანსპორტი დადიოდეს. არადა, საქართველოს ტრანსპორტის ორი მესამედი სწორედ თბილისშია. არ არის დარეგულირებული მოძრაობის სისტემა, ავტოპარკი, მანქანების უმეტესობა მოძველებულია და კონტროლი თითქმის არ ხორციელდება. ტექდათვალიერების შემოღებას მივესალმებით, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელშეწყობა. საზღვარგარეთ, ევროპულ ქვეყნებში არის თუნდაც ელექტროავტობუსები, მეტრო, ტრამვაი. ჩვენთან ძირითადი საშუალება, კერძო ავტომობილები და ტაქსებია. როდესაც საზოგადოებრივი ტრანსირტი განვითარდება და მეტი თანამედროვე საშუალება შემოვა, ყოველდღიურად, ავტომანქანებით მოძრაობის აუცილებლობა, აღარ იქნება საჭირო“.

რა ეშველება სათადარიგო გზების ნაკლებობას, ისევ და ისევ ქალაქის რელიეფიდან გამომდინარე? მარიამ ნეფარიძე განმარტავს, რომ ორგანიზაციას ამ თემაზეც კომპეტენტურ პირებთან ჰქონდა მოლაპარაკებები: **„დავრწმუნდით, რომ პრობლემას არც პარალელური გზების დაგება, ხიდების მშენებლობა, ახალი მაგისტრალები გაკეთება აღმოფხვრის. შესაბამისად, ისევ იქამდე მივდივართ, რომ უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და გზებიც ასეთი გადატვირთული აღარ იქნება“.**

მარიამ ნეფარიძის განმარტებით, ორგანიზაციას აქვს პროექტი – ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. მისივე თქმით, დღეს სატრანსპორტო პოლიტიკა, უპირველესად თბილისის მერიის მოსაგვარებელია, რადგან პრობლემა უმწვავესად აქ დგას: **„მერობის კანდიდატებს შევხვდებით. მათთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველვყოფთ და მნიშვნელოვანია, ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინონ. ევროკავშირთან დაახლოებისკენ მივისწრაფვით და მნიშვნელოვანია, სატრანსპორტო პოლიტიკა დარეგულირდეს, გარემოს დაბინძურება კი მინიმალური იყოს. საწვავის ხარისხი ევროკავშირის სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს“.**

რეალობა მართლაც საგანგაშოა. ასე თუ გაგრძელდა, მალე დედაქალაქში სუნთქვაც გაჭირდება. აღარაფერს ვამბობთ ჯანმრთელობის პოტენციურ პრობლემებზე. ამ ფონზე, ეს სფერო სასწრაფოდ დასარეგულირებელი რომაა, უდავოა. მით უმეტეს, უკანასკნელი კვლევებით, თბილისი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად აღიარეს.

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

„ბეზრუკოვმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და კარგად იყოს!“

რატომ გააუქმა კულტურის პალატამ სერგეი ბეზრუკოვის თეატრის გასტროლი და როგორ მოხვდა პუტინის მხარდამჭერთა სიაში ზურაბ წერეთლის გვარი

„მტკიცედ ვაცხადებთ, რომ მხარს ვუჭერთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოზიციას უკრაინასთან და ყირიმთან დაკავშირებით“, — ეს რუს ხელოვანთა ნაწილის განცხადებიდან ამონარიდია. ყირიმში პუტინის მოქმედებების მხარდამჭერთა სიაში 2 ქართველი ხელოვანი, ზურაბ წერეთელი და ნიკოლოზ ცისკარიძე აღმოჩნდა, რამაც ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. არანაკლები რეაქცია მოყვა „პუტინისტების“ ნუსხაში რუსი მსახიობის, სერგეი ბეზრუკოვის გვარის გაჟღერებას, რის შემდეგაც, კულტურის პალატამ, თბილისში, მაისში დაგეგმილი ბეზრუკოვის თეატრის გასტროლები გააუქმა. „ვერსია“ კულტურის პალატის პრეზიდენტს, დათო ოქიტაშვილს ესაუბრება.

— სერგეი ბეზრუკოვმა შეცდომა დაუშვა. ბინძურად ჩაერია პოლიტიკაში, უკრაინას თავი რომ დავანებოთ, ეს იგივეა, აფხაზეთისა და ოსეთის ოკუპაციას მხარი დაუჭირო. არ მიმაჩნია სწორად, სერგეი ბეზრუკოვის სპექტაკლის ჩასატარებლად აქ ჩამოყვანას ხელი შევუწყოთ. კულტურის პალატამ და პირადად მე, კიდევ ერთხელ, დავუჭირეთ მხარი უკრაინელ გმირ ხალხს. ყველამ იცოდეს, რომ ქართველი ერი აღშფოთებულია ნაბიჯით, რომელიც რუსეთის ელიტის წარმომადგენლებმა ამ წერილის ხელმოწერით გადადგეს.

— ბეზრუკოვს თავად მოახსენეთ, რომ გასტროლები აღარ შედგებოდა?

— მის დირექტორს ვაცნობე, რომ გასტროლები აღარ იქნება. თან დავუსაბუთე, ეს გადაწყვეტილება. პასუხი ჯერ არ მიმიღია, Facebook-ის გვერდზე თავი უკვე გაიმართლა — დაწერა, არასწორად გამიგესო, მაგრამ ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და კარგად იყოს.

— ბეზრუკოვის თეატრი თბილისში ქართულმა მხარემ მოიწვია?

— არა, მისი სურვილი იყო, ჩამოსულიყო მაისში. დეკემბერში ქართველ ხალხს ფილარმონიაში აცნობა, რომ სურდა, კიდევ ერთი გახმაურებული სპექტაკლი, „პუშკინი“ ჩამოეტანა. მისი პირველი გასტროლები საქართველოში დაიწყო წინა მთავრობის დროს, როცა ტარდებოდა თეატრალური ფესტივალი — მაშინ რუსთაველის თეატრში ითამაშა, სადაც ჰალსტუხი დაღეჭა. ვკითხე, ეს სპექტაკლის შემადგენელი ნაწილია თუ, უბრალოდ, დაგვცინე-მეთქი? ზუსტად 10 სპექტაკლი მაჩვენა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ითამაშა და თქვა, რომ სპექტაკლის შემადგენელი ნაწილი იყო. სხვაგვარად რომ ყოფილიყო და განზრახ გაეკეთებინა, ბეზრუკოვი თბილისში დეკემბერშიც არ ჩამოვიდოდა.

— ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა სანქციები დაგეკისრებათ?

— სულ არ მაინტერესებს, რას მოითხოვს. ჩვენ არაფრის გადახდას არ ვაპირებთ და მგონი, საქმე აქამდე არც მივა, მიხვდებიან, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს და აქედან გამომდინარე, ეს მათი პრობლემაა. ზოგადად, როცა კულტურის მუშაკები ერევიან პოლიტიკაში და ამ სიბინძურეს უწყობენ ხელს, ცუდია მათი წინსვლისთვის. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა რომ, საქართველოში ძალიან ბევრ თაყვანისმცემელს გაუცრუა იმედი.

— ამას წინ, მან სოციალურ ქსელში თითქოს მხარი დაუჭირა უკრაინელ ხალხს.

— როცა მითხრეს ამ განცხადების შესახებ, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, მაგრამ არც დავფიქრებულვარ, ისე გავუგზავნე წერილი მის დირექტორს. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, რადგან არ შეიძლება, პოზიციას ორ წუთში ერთხელ იცვლიდე.

— ბეზრუკოვმა ისიც განაცხადა, ომის წინააღმდეგი ვარ და მხარს ვუჭერ ყირიმში რეფერენდუმის ჩატარებასო. მისი აზრით, ყირიმელებს უფლება აქვთ, საკუთარი მომავალი თავად გადაწყვიტონ.

— როცა ადამიანი ხელს აწერს ერთს, მერე გამოდის და სხვა რაღაცას ამბობს, ეს სერიოზულად მიგაჩნიათ? იმ წერილში, რომელსაც ხელს 81 კაცი აწერდა, მხარს ყირიმის რუსეთთან შეერთებას უჭერს. როცა უკრაინაში ატყდა ერთი ამბავი და მათ უკრაინაში ჩასვლა აეკრძალათ, გადაწყვიტეს, ინტერპრეტირებული ახსნა- გამარტებები გაეკეთებინათ. გასაგებია, რომ პოზიცია გამოხატა და ამას არავინ უკრძალავს, უბრალოდ, მე ვუფრთხილდები ჩემი ხალხისა და იმ ადამიანების პოზიციას, 4 თვის განმავლობაში ქუჩაში რომ იდგნენ. არ მაინტერესებს, რომელი პოლიტიკოსი რას ამბობს, რომელი მთავრობა მოვიდა, ყველაზე დიდი ძალა ხალხია. სწორედ ხალხის დახმარებით გახდა იგი პოპულარული და, როცა შენ ამ ადამიანებს მსგავსი ხელმოწერებით აღიზიანებ, ეს ცუდია, თორემ, რასაკვირველია, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება.

— ამბობთ, რომ ხელოვანები პოლიტიკაში არ უნდა ერეოდნენ. არადა, არაერთხელ გითქვამთ, რომ რუსეთთან ურთიერთობა სწორედ კულტურის დახმარებით უნდა მოგვარდეს.

— ბინძურ თამაშში არ უნდა ერეოდნენ... ორასზე მეტმა ადამიანმა ხელი საპირისპირო განცხადებას მოაწერა. ასე რომ, არიან ხელოვნების ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც შეიძლება ელაპარაკო. მე რუსეთის წინააღმდეგი კი არ ვარ, დიახ, დიალოგით უნდა მოგვარდეს ეს ყველაფერი, დიახ, კულტურა უნდა იყოს შუამავალი, მაგრამ გააჩნია, ვინ. მოვლენებს წინ რატომ უსწრებენ? ჩატარდება 16 მარტს რეფერენდუმი და რა ვიცით, იქნებ სულ სხვა განწყობა აჩვენოს.

— პირადად ბეზრუკოვს არ დაკავშირებიხართ?

— პირადად მასთან არ მილაპარაკია და ამის სურვილიც არ მქონია. თუ მოინდომებს, დამირეკავს, ზუსტად იმას ვეტყვი, რასაც თქვენ გეუბნებით.

— იმ ქართველ ხელოვანებზე რას იტყვით, ვინც „პუტინისტების“ მხარდამჭერთა სიაში აღმოჩნდა?

— ეს მათი პრობლემაა, თუმცა ზურა წერეთლის პრესსამსახურს გაუვრცელებია მიმართვა, რომ კულტურის სამინისტრომ, მისი გვარი ამ სიაში თვითნებურად შეიყვანა. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია.

შემთხვევით მოხვდა თუ არა უკრაინაში პუტინის პოლიტიკის მხარდამჭერთა სიაში ზურაბ წერეთელი? ამის გასარკვევად, „ვერსია“ მოქანდაკის თანაშემწეს, სერგი შაგულაშვილს დაუკავშირდა.

— ბატონ ზურაბს არ აინტერესებს პოლიტიკა და არანაირ განცხადებას არ აწერს ხელს. ის მხოლოდ ხელოვნებას ემსახურება.

— ესე იგი, დოკუმენტი გაყალბებულია?

— გააკეთეს სია და არ ვიცი, რა მოხდა. გინდა, გაყალბება დავარქვათ ამას და გინდა, სხვა რამ, ფაქტია, ბატონი ზურაბი არანაირ პოლიტიკურ საბუთს ხელს არ აწერს. საერთოდ, არ ერევა პოლიტიკაში.

— თუ გქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი განცხადება მზადდებოდა?

— არა, ჩვენც ისევე გავიგეთ ეს ამბავი, როგორც თქვენ.

— ბატონი ზურაბი მოსკოვში ბრძანდება?

— არა, ამერიკაში, პუერტო რიკოშია, სადაც კოლუმბის ძეგლს აკეთებს.

ზურაბ წერეთელი უარყოფს, რომ ყირიმში კრემლის პოლიტიკას მხარი დაუჭირა. რა ვითარებაში შედგა პუტინის მხარდამჭერთა სია, გაურკვეველია. ამ ფონზე, არაა გამორიცხული, ამ ნუსხაში, ნიკოლოზ ცისკარიძის გვარიც შემთხვევით მოხვედრილიყო. ამ უკანასკნელს, ჯერჯერობით, ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი არ გაუკეთებია.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი პარალიზებულია!

მოცეკვავეებმა კარვები გაშალეს და შიმშილობა დაიწყეს

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ბათუმში, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეები საპროტესტო აქციებს მართავენ და ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის, თემურ ქორიძის თანამდებობაზე აღდგენას მოითხოვენ. ახლადდანიშნულმა ხელმძღვანელობამ დასის 41 წევრი სამსახურიდან გაათავისუფლა, ადგილობრივი ხელისუფლება კი მათ მოთხოვნებს არ იზიარებს. აჭარის მთავრობის სახლის წინ გაშლილ კარვებში 4 ახალგაზრდა უკვე რამდენიმე დღეა, პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართავს. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ანსამბლის სოლისტ მურთაზ მანძუაშვილთან.

— აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელიც 95 წელიწადია არსებობს, ჰყავდა სამხატვრო ხელმძღვანელი, ცნობილი მოცეკვავე თემურ ქორიძე. იგი მთელი ცხოვრება ქართულ ფოლკლორს ემსახურებოდა. „სუხიშვილებიდან“ დაწყებული, კანადასა და ევროპაში მოღვაწეობდა და პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ფოლკლორს. 2013 წლის დასაწყისში ბატონი თემური მშობლიურ ქალაქ ბათუმში ჩამოვიდა. მოცეკვავეებმა თავად მოითხოვეს, იგი ყოფილიყო სამხატვრო ხელმძღვანელი. ანსამბლს დირექტორი ერთი წლის განმავლობაში უფორმებდა 2-3-თვიან კონტრაქტს. ახლა კი გაირკვა, რომ ეს იურიდიული დარღვევა ყოფილა, რადგან აჭარის შიდადებულებით, დირექტორსაც და სამხატვრო ხელმძღვანელსაც განათლების სამინისტრო ამტკიცებს; ასევე რამდენიმე დღის წინ გამოიკვეთა ფინანსური დარღვევები წინა ხელმძღვანელობის მხრიდან, გასტროლების დროს თანხის არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები...

— როდის შეუწყდა კონტრაქტი თემურს ქორიძეს?

— 18 იანვარს გამართა შემაჯამებელი კონცერტი, რომელსაც ცნობილი ადამიანები, მათ შორის „სუხიშვილების“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ დადებითად შეაფასეს ანსამბლისა და ბატონი თემურის, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის საქმიანობა. წლის ბოლოს, როცა კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს და სამსახურიდან დაითხოვეს, დასის წევრებმა მოითხოვეს თანამდებობაზე მისი დაბრუნება. დირექტორს, ავთო ჭოლაძეს კოლექტივთან გარკვეული პრობლემები ჰქონდა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, გადავაყენეთ. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია თამამაიშვილი შეგვპირდა, რომ დაინიშნებოდა ახალი დირექტორი, რომელიც ბატონ თემურთან ერთად შეუდგებოდა მუშაობას. ამის თაობაზე აჭარის ხელმძღვანელობაც საქმის კურსში იყო, მაგრამ ახალი დირექტორი ოთარ მიქელაძე, მოვიდა თავისი გუნდით, მოიყვანა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი. ის შეთანხმება, რომელიც ხელისუფლებასა და დასს შორის იყო, არ შესრულდა. თვენახევრის წინ, თანამდებობაზე თემურ ქორიძის დაბრუნების მოთხოვნით დავიწყეთ გაფიცვა, რის გამოც, ადმინისტრაციამ კანონი დაარღვია და გაფიცული კოლექტივი, 41 ადამიანი ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლა.

— თუ მიმართეთ სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს?

— გვერდით გვიდგას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ასევე აყვანილი გვყავს ადვოკატები. პროტესტმა უკვე რადიკალური სახე მიიღო — რამდენიმე ადამიანი მეექვსე დღეა შიმშილობს, აჭარის მთავრობის სახლის წინ გაშლილია კარვები. უკვე ახალი დირექტორისა და მისი გუნდის წასვლასაც ვითხოვთ. შევხვდით აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, არჩილ ხაბაძეს, თუმცა ჩვენს მოთხოვნებს არ იზიარებენ. შემოგვთავაზეს, თემურ ქორიძე დირექტორის მოადგილის თანამდებობა ქორეოგრაფიის დარგში, თუ ამ პირობებს დავთანხმდებოდით, დასის აღდგენასაც შეგვპირდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ანსამბლთან მისი უფლებები შეზღუდული იქნებოდა. ეს ადამიანი არ იბრძვის სკამისა და სახელისთვის, აქვს თავისი ხედვა, ხელწერა, სიახლეები შემოიტანა დასში... დღეს შევიმუშავეთ დებულება, რომელსაც ამ დღეებში მინისტრს წარვუდგენთ.

— დასის შევსებას როგორ აპირებენ?

— ე.წ. დუბლების მოყვანას აპირებენ სხვადასხვა სტუდიიდან. გამწარებულები არიან, ახალი დასის შექმნა უნდათ, მაგრამ ამას ვერც ერთ თვესა და ვერც ერთ წელიწადში ვერ მოახერხებენ. აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი პარალიზებულია, კოლექტივის დიდი ნაწილი გათავისუფლებულია, აქ არიან ახალგაზრდები ქუთაისიდან, ოზურგეთიდან... ოჯახებით ცხოვრობენ ნაქირავებში და მათ საარსებო წყარო უწყდებათ. 15-20-წლიანი სტაჟის მქონე მოცეკვავეები უმუშევრები დარჩნენ.

მეტი სექსი – მეტი ფული

ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რამდენადაც ხშირადაა დაკავებული ადამიანი სექსით, იმდენად მეტ ფულს შოულობს. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევამ აჩვენა: ადამიანები, ვისი ინტიმური ცხოვრებაც დატვირთულია, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ. ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც იყოს საყვარელი (არა მხოლოდ ფიზიკურად), ამის გარეშე ბევრი მარტოობისკენ მიდრეკილი ხდება, აწუხებს დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება, — აცხადებენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანებს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებთ — ჭამა და სექსი, მხოლოდ ამის შემდეგ აღწევენ წარმატებას სხვა სფეროებშიც, ხოლო, თუ ამ ძირითადი მოთხოვნილებების უკმარისობას განიცდიან, სხვა ფუნქციებს ცუდად ასრულებენ. ბრიტანელების გამოკვლევაში საბერძნეთში მცხოვრები, 26-დან 50 წლამდე ასაკის, 8 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვისაც კვირაში ოთხჯერ ჰქონდა სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდნენ, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები. ეს ტენდენცია არ არის დამოკიდებული განათლების დონეზე, სექსუალურ ორიენტაციასა ან პროფესიაზე.

ელექტროხელსაწყოებს ბეჭედი მართავს

Kickstarter-ის ახალი პროექტი Ring გაჯეტია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, გააკეთოთ ყველაფერი, რაც კი ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება დაგჭირდეთ. Ring — ბეჭდის ფორმის ნივთია, რომელიც ოთხი ძირითადი ფუნქციით — ჟესტების მართვით, ტექსტის გადაცემით, ტრანზაქციების მართვითა და მიღება/შეტყობინების ფუნქციითაა აღჭურვილი. მაგალითად, თუ გსურთ ტელევიზორის ჩართვა, საკმარისია, ჰაერში თითით TV მოხაზოთ, ამგვარადვე შეიძლება აკონტროლოთ სახლში ნებისმიერი ტექნიკა და გაგზავნოთ მესიჯები — უბრალოდ, ჰაერში მოხაზავთ ასოებს, ჟესტები კი თქვენს სმარტფონში აისახება. გადახდის ფუნქციის დახმარებით, თითის ერთი მოძრაობით, შეძლებთ ტრანზაქციების განხორციელებას: ჰაერში საჭირო რიცხვი დაწერეთ, Ring კი თითის უმნიშვნელო მოძრაობასაც ამოიცნობს. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი კონკრეტული ჟესტის მოდიფიცირება და მონაცემების ბეჭედში შეტანა. ბეჭდის ერთ მხარეს ელემენტი და მოძრაობის სენსორებია, მეორე მხარეს კი დაბალენერგეტიკული „ბლუთუსი“. ამ უკანასკნელის მეშვეობით მოწყობილობა შეიძლება ნებისმიერ ტელეფონსა თუ სხვა გაჯეტს დაუკავშიროთ. როგორც ავტორები აცხადებენ, სიახლე ზაფხულიდან აშშ-ში, ევროპაში, იაპონიასა და ჩინეთში გაიყიდება, ერთი კომპლექტის ფასი კი 165 დოლარი იქნება.



ხორცი და ყველი ჯანმრთელობას ვნებს?

ჭარბი რაოდენობით ხორცისა და ყველის მოხმარება საშუალო ასაკის ადამიანის ჯანმრთელობისთვის ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც თამბაქოს მოწევა, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები, რომელთაც 50 წელს გადაცილებული 1 000 ქალისა თუ მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ, ვინც დიდი რაოდენობით იღებს ცხოველურ ცილებს, ნაადრევი სიკვდილის ალბათობა ორჯერ იზრდება, ვიდრე მათ შორის, ვინც ხშირად არ იკვებება ამ პროდუქტით. გარდა ამისა, ხორცისა და ყველის მოყვარულებში ოთხჯერ იზრდება კიბოთი გარდაცვალების რისკი, რაც მოწევის მავნებლობას უთანაბრდება. მკვლევართა განცხადებით, ცილა, რომელსაც ხორცი, ყველი, კვერცხი და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტი შეიცავს, ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას და აჩქარებს ორგანიზმის უჯრედების დაბერებას. სწავლულები 50-დან 65 წლამდე ადამიანებს ურჩევენ, რაციონში შეამცირონ ცხოველური ცხიმი და ამის ნაცვლად ცილა თევზიდან, ლობიოდან და ოსპიდან მიიღონ.

იტალიელი დიასახლისები – ყველაზე დაჩაგრულები მსოფლიოში

როცა საქმე ბავშვის მოვლასა და სახლის დალაგებას ეხება, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს გენდერული ბალანსი ხშირად ავიწყდებათ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (The Organisation for Economic Co-operation and Development) დაინტერესდა ამ საკითხით და შეეცადა გაერკვია, ყველაზე მეტად რომელ ქვეყნებში ირღვევა ქალთა უფლებები და კვირაში რამდენ საათს ხარჯავენ სუსტი სქესის წარმომადგენლები საოჯახო საქმეზე. კვლევა 28 ქვეყანაში ჩატარდა, შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ბავშვის მოვლისა და საოჯახო საქმეებში ჩართულობის თვალსაზრისით, მსოფლიოში გენდერული თანასწორობა აპენინებზე ირღვევა — იტალიელი ქალები საოჯახო საქმეებზე, კაცებთან შედარებით, კვირაში 21 საათით მეტს ხარჯავენ; იგივე დონეზეა ეს პრობლემა ამომავალი მზის ქვეყანაშიც — იაპონელი ქალები 21 საათით მეტად არიან დაკვებულები სახლის საქმეებით, ვიდრე მათი მეუღლეები. ინდოეთში ეს სხვაობა 18 საათია, ესპანეთში — 15, თურქეთში — 14, მექსიკაში — 13, საფრანგეთში — 12,5.

სავაჭრო ცენტრებში სამოსს ვირტუალურად მოისინჯავთ

ვირტუალური სარკეები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება „მოისინჯოთ“ მაღაზიაში ნებისმიერი მოწონებული ნივთი, უახლოეს პერიოდში გაერთიანებული საამიროების დედაქალაქის რამდენიმე მსხვილ სავაჭრო ცენტრში გამოჩნდება. საცდელი ვირტუალური style pod უკვე ამუშავდა აბუ-დაბის ერთ-ერთ სავაჭრო მოლში — მომხმარებელს შეუძლია ვირტუალური ეკრანი-სარკის წინ დადგეს და ეს მოწყობილობა სამ წამში შექმნის სამგამზომილებიან გამოსახულებას, რომელსაც მაღაზიაში მოწონებულ ნებისმიერ ნივთს მოარგებთ, თან სტილისტის რჩევებსაც მიიღებთ აქსესუარების შერჩევასთან დაკავშირებით. სარკეში მყიდველი საკუთარ გამოსახულებას შეხედავს ნებისმიერი რაკურსით და ვარაუდობენ, რომ მომავალში შეეძლება ერთდროულად მოისინჯოს და შეუხამოს ერთმანეთს რამდენიმე მაღაზიაში მოწონებული ნივთი, შეარჩიოს მაკიაჟი, ვარცხნილობა, მოირგოს სათვალე და ქუდი. სიახლის ავტორების შორეულ გეგმებში style pod-ის ონლაინ-ვერსიის შექმნაა, რათა კლიენტებმა შეძლონ სასურველი ნივთების სახლიდან გაუსვლელად მოსინჯვა და სწორი არჩევანის გაკეთება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

წყალქვეშა ნავი სასტუმროდ აქციეს

დიდ ბრიტანეთში ტურისტებს დასვენების საკმაოდ უჩვეულო მეთოდს სთავაზობენ — წყალქვეშა ნავ-სასტუმროს, რომელიც, მოგზაურების სურვილისამებრ, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაემგზავრება. რასაკვირველია, ასეთი უჩვეულო შეთავაზება იაფი არ ღირს და ტურისტული კომპანია Oliver's Travels-ის მომსახურება მხოლოდ შეძლებული ადამიანების პრეროგატივაა. ორ პერსონაზე კრუიზის ღირებულება დღეში 175 ათასი გირვანქა სტერლინგია, თანაც მცურავი ოტელის დაქირავების მინიმალური ვადა ორი დღე-ღამეა, ტურში კი შედის ტრანსფერი კატერზე ან ვერტმფრენზე, შამპანური, საუზმე, დახვეწილი ვახშამი... წყალქვეშა ნავი Lovers Deep კლიენტებს საუკეთესო ნომრებს სთავაზობს, პირადი მოსამსახურით, პერსონალური მზარეულითა და ბარმენით.

სუდოკუს მანია

ადვილი

	2			6				9
			2				8	
	6		3	1	9	7		
7						5	2	
				2				
	1	3						8
		8	5	3	7		9	
	9				1			
3				8			5	

სტანდარტი

	9			7			3	
	7	3	6					
2	1		9				6	
				9	7			
		1	3	2	4	9		
			1	8				
	3				2		9	7
					9	6	8	
	8			3			5	

რთული

6			5					
		5	1	9		3		6
		9		3				
7							8	2
	8						4	
9	5							3
				5		4		
8		2		4	1	6		
					6			8

ექსპერტი

8		5	2	4			7	
			1	9	5	2		
3								4
		3	9				1	
		7				8		
	8				4	6		
7								8
		2	8	7	9			
	5			6	2	7		1

რა შეუძლია წიწიბურას ნახარშს?

სწავლულებმა ახალი გამოკვლევის შედეგების შესახებ გვამცნეს, რომელიც ნატურალური საშუალებებით მკურნალობის მოყვარულებს უფრო გაახარებს. სპეციალისტები „უჩვეულო“ წყლის მეშვეობით განკურნების უჩვეულო რეცეპტებს გვთავაზობენ, თანაც ასეთი წყლის მიღება ძალიან მარტივია — მხოლოდ მცირე რაოდენობის წიწიბურა უნდა მოხარშოთ. მკვლევარებმა გაარკვიეს, წიწიბურის ნახარშს, შეუძლია ჯანმრთელობის ბევრი პრობლემა მოაგვაროს. უბრალოდ, მოხარშეთ წიწიბურა და როცა ბურღული მოიხარშება, წყალი გადაწურეთ. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ წიწიბურა ბუნების მიერ ბოძებული სასწაულია და ამ შანსის არგამოყენება გაუმართლებელი იქნება. სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, წიწიბურას ნახარში შველის შეკრულობას, მტკივნეულ სპაზმს კუჭში. გარდა ამისა, ეფექტურია ჩალურჯებებისთვისაც — ბამბა დაასველეთ და კომპრესის სახით დაიდეთ რამდენჯერმე 20-20 წუთით, წიწიბურას ნახარში უცებ აქრობს ნივრისა და ხახვისგან გამოწვეულ უსიამოვნო სუნს პირიდან. თუ ღრძილების პრობლემები გაქვთ და მტკივნეული შეგრძნებები გაწუხებთ, ეს ნახარში გამოივლეთ. გარდა ამისა, სამკურნალო წყალი ორგანიზმში ცხიმების დაწვას უწყობს ხელს და ვისაც გახდომა სურს, შეუძლია ყოველი დილა მისი მოხმარებით დაიწყოს — გასახდომად დღიური ნორმა ჭიქის მესამედია.

ჰოლივუდის საკვები ასუქნებს?

ჰოლივუდის მსახიობი გვინეტ პელტროუ და დიზაინერი ვიქტორია ბექჰემი ბოლო დროს მეტად ორიგინალურ დიეტას მიმართავენ — ისინი მსხვილფეხა პირუტყვისთვის განკუთვნილ საკვებზე გადავიდნენ. საუბარია ტეფის მარცვლებზე, რომელსაც ყოველდღიურად მიირთმევენ. ტეფი — ეთიოპიური მცენარეა, თუმცა ამ კულტურას მხოლოდ პირუტყვს არ აჭმევენ, მისგან კვერებსაც აცხობენ. ეს მარცვლეული ძალიან იაფია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბევრ ცილას, კალციუმსა და რკინას შეიცავს, თანაც მასში თითქმის არ არის ცხიმი (მხოლოდ 3%). ვარსკვლავები ამ მარცვალს მდუღარეს ასხამენ და უმატებენ შვრიის ფანტელს. ბოლო დროს ტეფის პოპულარობა შეერთებულ შტატებში ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ, შესაძლოა, ამის გამო, მალე მისმა ფასმაც მოიმატოს.

ტომატის წვენი ფილტვის კიბოსგან იცავს

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანტიოქსიდანტები, რომელიც ტომატშია, მნიშვნელოვნად ამცირებს ფილტვის კიბოს რისკს, მწეველებშიც კი. მედიკოსები გვთავაზობენ მარტივ რეცეპტს: ყოველი სიგარეტის მოწევის შემდეგ, მიიღეთ წყლით გაზავებული ერთი ჭიქა ტომატის წვენი. კვლევისას ამ კოქტეილს სწავლულები ლაბორატორიულ თაგვებს აძლევდნენ, რომლებიც სპეციალურად, თამბაქოს კვამლით გაჯერებულ ოთახში ჰყავდათ. ექსპერიმენტის შედეგები დადებითი აღმოჩნდა. მართალია, ასეთი კლინიკური ცდები ადამიანებზე ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ ექიმების აზრით, „წამალი“ ზიანს არც ერთ შემთხვევაში არ მოიტანს. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ მას, ვისაც ტომატის წვენი არ უყვარს, შეუძლია შეცვალოს ტომატის სოუსით, პასტით ან ერთი კოვზი კეტჩუპით დღეში. უფრო ადრე კი ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეში ერთი ჭიქა ტომატის წვენი მკერდის კიბოს პროფილაქტიკაში ეხმარება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	3	5	9	8	4	2	7	6
8	9	6	3	2	7	4	1	5
7	4	2	6	5	1	3	9	8
9	2	7	8	4	6	5	3	1
6	1	4	5	9	3	8	2	7
5	8	3	7	1	2	6	4	9
4	7	1	2	6	5	9	8	3
3	6	9	4	7	8	1	5	2
2	5	8	1	3	9	7	6	4

სტანდარტი

9	7	2	1	8	6	5	3	4
1	6	3	7	5	4	2	9	8
5	8	4	3	2	9	1	7	6
4	3	9	6	1	8	7	2	5
8	2	5	4	9	7	6	1	3
7	1	6	2	3	5	4	8	9
6	9	8	5	7	1	3	4	2
3	5	7	9	4	2	8	6	1
2	4	1	8	6	3	9	5	7

რთული

9	2	1	7	3	4	8	6	5
3	8	6	5	2	1	9	7	4
7	4	5	9	6	8	1	3	2
2	7	4	1	5	3	6	9	8
8	6	3	2	7	9	5	4	1
5	1	9	8	4	6	7	2	3
6	5	2	4	1	7	3	8	9
4	3	8	6	9	5	2	1	7
1	9	7	3	8	2	4	5	6

ექსპერტი

1	4	5	2	7	9	8	6	3
6	8	9	3	1	5	4	2	7
7	3	2	4	6	8	5	1	9
5	7	1	9	8	6	3	4	2
4	2	8	5	3	1	7	9	6
3	9	6	7	2	4	1	8	5
8	1	7	6	9	3	2	5	4
2	6	4	8	5	7	9	3	1
9	5	3	1	4	2	6	7	8

მე-12 გვერდი: 1. პითაგორა; 2. აუტიზმი; 3. პრაქსიტელი; 4. თეიმურაზი; 5. გოია; 6. ულტრამარინი; 7. იუპიტერი; 8. მაზდეანობა; 9. ბადიში; 10. ქარვა; 11. ლატე; 12. ტოპაზი; 13. რკო; 14. საკე; 15. ლუქსი; 16. იარა; 17. ანტრე; 18. ტარტუ; 19. ნორმა; 20. სლაი; 21. ეოცენი; 22. ერბო; 23. აბე; 24. ჯეზვე; 25. ჯოტია; 26. „კარტიე“; 27. ლევანტი; 28. ოფსაიდი; 29. კაიმანი; 30. ომბალო; 31. კეიტ ბლანშეტი; 32. რაბლე; 33. „კამიუ“; 34. ერატო; 35. ბოი; 36. მარლონ; 37. ბეცი; 38. ბაგატელი; 39. ევორა; 40. ფხა; 41. ათი; 42. ნება; 43. რხევა; 44. ამრა; 45. ნილგაუ; 46. ნაძვი; 47. ვერონა; 48. მოა; 49. ანონა; 50. რიონი; 51. „ავეო“; 52. სოინარი; 53. ეზო; 54. ლავსანი; 55. „გერნიკა“; 56. ძილი; 57. სარმა; 58. ეკო; 59. დენი; 60. მანაგუა; 61. რიმე; 62. კალია; 63. მუარი; 64. გავროში; 65. კობზარი; 66. პროტონი; 67. ნენა; 68. მატიე; 69. ლავრა; 70. სიპი; 71. გულაბი; 72. მურა; 73. პაპა; 74. მაკე; 75. შარლ; 76. მუმბაი; 77. ალე; 78. ნესესერი; 79. სრა; 80. მარმაში; 81. ლემა; 82. ეხი; 83. სი; 84. შერლოკ.

ასპირინი სიმსივნის წინააღმდეგ

ამერიკელმა მეცნიერებმა ახალი კვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც დაამტკიცეს, რომ ასპირინის სისტემატური მოხმარება საკვერცხეების კიბოს განვითარებას 34%-ით აქვეითებს. ასეთი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია დღეღამეში 100 მგ ამ პრეპარატის

მიღება, თუმცა ბევრი რამაა დამოკიდებული ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ასაკსა და ცხოვრების წესზე, — ამტკიცებენ სწავლულები. საერთოდ, ასპირინი მეტად ურთიერთსაწინააღმდეგო პრეპარატია. მისი ძირითადი მიმართულება — ანთებისსაწინააღდეგო ეფექტია. მედიკოსები პაციენტებს ურჩევენ, დღეში ასპირინის აბის მეოთხედი მიიღონ, თრომბის წარმოქმნის რისკი რომ აიცილონ თავიდან. ეს, ძირითადად, 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს ეხება. წამალს უარყოფითი მხარეც აქვს — მიიჩნევა, რომ ნეგატიურად მოქმედებს კუჭისა და ნაწლავების მდგომარეობაზე, ახდენს გასტრიტისა და წყლულის პროვოცირებას, აუარესებს მოტორიკას.



ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

დირექტორების შედევრები

„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“, — ეს ფრაზა ლოგიკურად გაგიელვებთ თავში მას შემდეგ, რაც ამ შედევრებს წაიკითხავთ. დირექტორების კონკურსის, ფუნქციური წერის გამოცდის „მარგალიტები“ ლევან ღვინჯილიამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. „ვერსია“ სკოლების ხელმძღვანელების „ნაზრევს“ უცვლელად და უკომენტაროდ გთავაზობთ:

• თქვენს მიერ გამოთქმული უკმაყოფილება ჩემს მიმართ, რამაც მაიძულა ამ ანგარიშის დაწერა თქვენს მიმართ, უსაფუძვლოა;

• მოცურავე წიგნები შველას ითხოვენ (დავალებაში იყო, რომ წყალდიდობამ დააზიანა ბიბლიოთეკა);

• ისტორიის მასწავლებელი არის ახალბედა, სულ ორი წლის;

• დღეისათვის ხელოვანმა, გამოცდილმა პედაგოგებმა ძლიერი ზარი უნდა შემოვკრათ, საუკუნეების მიღმა ულრანებში დავანებულ კაცობრიობის ცოდნისა და განათლებას და გადავცეთ ის ახალბედა პედაგოგებს —) (ეუფ);

• უკეთესი ხარისხის ამაღლების მიზნით, ჩვენ ვეძებთ გზებს და ...

• ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია პრიორიტეტულია მხოლოდ დაწყებით კლასებში;

• ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება საფუძვლიანი შეკეთება, თორემ მალე რემონტს აღარ დავექვემდებარებით;

• სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, მხოლოდ კოსმეტიკა წავუსვით =));

• სკოლას წყალდიდობის შედეგად აღარ აქვს იატაკი ჭერი, კედლები, სახურავი, საძირკველი და კოჭებიც კი. მე რა ვქნა? (დარჩა რამე?);

• მოგმართავთ სრულიად საქართველოს პედაგოგი;

• ჩემს სკოლაში პედაგოგებს არ მოჰკლებიათ ცარცი;

• სკოლა საჭიროებს შებათქაშებას და შეგაჯვავს;

• თვითმართველობის ორგანომ უარი მითხრა დაფინანსებაზე. აბა, ის ორგანო რა ორგანოა, უარს რომ გეტყვის საჭიროების შემთხვევაში;

• ჩვენი ვალია აღვზარდოთ მოსწავლეები, რომელნიც ამავე დროს იქნებიან მოზარდები (ამავე დროს);

• მოვაწყვეთ „ვალენტინობა – სიყვარულის დღე“, რომელზეც მოვიწვიეთ სკოლის ვეტერანი მასწავლებლები;

• ჩვენი მოსწავლეები მაღალი ხარისხით გამოირჩევიან;

• წყალმა არ იკმარა ბიბლიოთეკის სარდაფში დგომა და გადავიდა საძირკველში და დაიწყო დაჭაობება;

• გასულ სასწავლო წელს ავად ვიყავი. ახლა იმედია ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიც მექნება და ყველაფერს განვახორციელებ;

• ისტორიის მასწავლებელი სულ ახლახანს დაბერდა;

• ჩვენი სკოლა მართალია ნახმარია, მაგრამ კარგად შენახული;

• ჩვენი სკოლა ემსახურება მხოლოდ 4 კმ რადიუსის მქონე ბავშვებს;

• მყავს უცხო ენის პედაგოგი, რომელიც გასულია პენსიაში, მაგრამ არ უნდა ბოლომდე გასვლა;

• ბავშვებს გადაეცა ტკბილეული. მართალია მეორადი, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში!

• სკოლისრემონტიმოვახერხეთმოსწავლეთამამებისძალადობით!

• ქარმა მთლიანად მოგლიჯა პერიპეტიები!

• ქვემოთ მიღებული გადაწყვეტილება უფრო ეფექტურია ვიდრე ზემოთ!

• მე ვთვლი, რომ ჩვენს სკოლას კოსმეტიკური კი არა ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება!

• თვალსაჩინო ადგილას გამოვფინეთ სახელმძღვანელოთა ავტორები!

• ბავშვებში ჩადებული კაპიტალი ბუმერანგივით დაუბრუნდება სამშობლოს!

• ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი 64 წლისაა. მიუხედავად ამისა, სურს ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ამიტომაც გთხოვთ გადაგვიმზადოთ!

• სკოლაში მიგრაციამ თითქმის მოსახლეობის მაქსიმუმს გადააჭარბა!

• სკოლაში აღმოიფხვრა კორუფცია და დიპლომატია!

• ისტორიის მასწავლებელმა გააჩინა ტყუპი ვაჟები და სულ დაავიწყდა პროგრამა!

ლურჯი ჯურჯელი ეახლომაჭი დაეხმარება

მეცნიერებმა ჭარბ წონასთან მებრძოლებს საკმაოდ ორიგინალური მეთოდი შესთავაზეს, რომელიც დიეტასა და ყოველდღიურ ვარჯიშს არ საჭიროებს. სწავლულთა თქმით, ზედმეტ წონას რომ დაემშვიდობოთ, ნაკლები უნდა მიირთვათ, რაშიც ლურჯი ფერის ჭურჭელი დაგეხმარებათ. ცნობილია, რომ ჭურჭლის ფერი უშუალო გავლენას ახდენს მადაზე. ყველაზე მიმზიდველად გამოიყურება ის კერძები, რომელიც თეთრი ფერის თეფშზეა და ეს ადვილად აიხსნება — რძისფერი ტონი მკვეთრად წარმოაჩენს ბოსტნეულის, ხილისა თუ ხორცის მდიდარ პალიტრას და მადაც უნებურად ძლიერდება; მეორე ადგილზე ნარინჯისფერი, ყვითელი და წითელი ჭურჭელია — ცეცხლისფერი ორგანიზმში გაცვლით პროცესებს ასტიმულირებს, ააქტიურებს კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედებას და როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, წითელი და ნარინჯისფერი თეფშიდან ჩვეულებრივ ულუფაზე მეტს მიირთმევენ ხოლმე. ყველაზე უგემოვნოდ კი საკვები თურმე ლურჯი ფერის თეფშზე გამოიყურება — ეს იდეალური ფერი ყოფილა მათთვის, ვისაც ცოტა ჭამა და გახდომა სურს — ასეთ ჭურჭელზე საკვები „უსულოდ“ გამოიყურება და ნაკლებად მიმზიდველად გვეჩვენება.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.